



ქართული
ლიბროთეკა

ფასი 1 ლარი

ბიანგის



განმავლობელი მარტოვანი 53

მარტოვანი

ბიანგის
26/11/92
200



რ ე დ ა ქ ც ი ი ს ა გ ა ნ

ქართულ საბჭოთა სატირა-ჰუმორს მტკიცე სა-
ძირკველი ჩაეყარა ამ ათი წლის წინად, როცა პირველ-
ლად 1923 წელში გამოვიდა ჟურ. „ნიანგი“.

ამიტომ „ნიანგის“ ათი წლის თავი და იუბილე
ამავე დროს არის ქართული საბჭოთა სატირა-ჰუმორის
ათი წლის თავი და იუბილე.

ამ მოვლენის აღსანიშნავად რედაქციამ გამოსცა
„ნიანგის“ საიუბილეო საგანგებო ნომერი და აგრეთვე
ეს კრებული, რომელშიაც მოთავსებულია „ნიანგის“
თანამშრომლების ნაწარმოებები, როგორც დაბეჭდილი,
ესე სრულიად ანალი.

ჟურ. „ნიანგი“-ს რედაქცია.



ს. თ—ია.

„ქართლის ცხოვრება“

ნაწილი მეორე *)

თამარის ხანით მე დავათავებ
 „ქართლის ცხოვრების“ თორმეტი თავი.
 გაგრძელება რით უნდა დამეწყოს?
 მისი შეიღობისთვის მსურდა დამეცხო!
 მაგრამ იმთავით მახლავს ერთი ზნე:
 თვალში თუ რამე ამოვიმიზნე,
 თუ არ მივსდიე მე მას ბოლომდი,
 გულში ჩამრჩება, როგორც ქვა-ლოდი!
 რადგანაც მაშინ მე ვერ შევსძელი
 თამარის ხანა, საკმაოდ გრძელი,
 უკლებლად სულ რომ ამომეწურა,
 ამიტომ ეხლა ეს მომიწყურა!

კიდევ მოგიტხრობთ მე თქვენ ერთ ამბავს.
 რაც სინამდვილეს თვრო მეტათ ჰგავს.
 ნუ კი მიიღებთ თქვენ იმას ჭორად,
 რაც რომ მომხდარა ამ ქვეყნად სწორედ:
 კათალიკოსი და ორი ძალდი, —
 (მე ვაღიარებ ამას ხმამაღლა)
 ამ საქმეშია მომქმედი პირი.
 არაფერია აქ გასაკვირი:
 ცხოვრება უყვართ ორთავეთ ტკბილი,
 ვალესილი აქვთ ჭამისთვის კბილი!
 ამის შესახებ მოგიტხრობთ აქ მე,
 სულ დაწვრილებით,—რაშია საქმე.
 ჯერ მომიხდება გახვევა განზე,
 რომ გადავიდე შემდეგ საგანზე.
 ორივე იყო თუმც ქრისტიანი,
 პაოსის ძენი, ქართლოსიანნი,
 განუწყვეტლად მაინც, იმთავად,
 ქართველთ და სომეხთ ჰქონდათ სულ დავა
 როცა თამარის რუსმა ნაქმრევმა
 ყოფილ ცოლისგან სირცხვილ ნაქმრევმა,
 ერისთავები გადაიბირა
 და გამეფება კვლავ დააბირა, —
 თამარი იხსნა ძმა მხარგრძელებმა,
 მამაცობასთან თან სულგრძელებმა,
 რომლებიც მოდებოთ სომეხები იყვენ,
 (უკვე გითხარით წინეთ მე ეს თქვენ.)
 ერთხელ კი არა ბევრჯელ სხვა დროსაც
 მათ ასახელეს ქართველთა დროშა.
 სამაგიერო კი რა მიიღეს,
 მსურს მოვახსენოთ აქ მე სწორეთ ეს!

ერთხელ, მორიგი გამარჯვების დროს,
 დასცა თავზარი რა მტრების ურდოს,
 დიდი მხარგრძელი უკან დაბრუნდა,
 წირვისთვის ზარი, მყის აგუგუნდა!
 როდესაც ბრძოლის მეხი სქექავდა,
 ვინც სახლში იჯდა, ნაცარს ჰქექავდა,
 ხატების წინ მას უნდა ელოცა,
 დახოქილს მუხლის თვალთ ეცოცა!
 ვითომ და დიდი მსხვერპლი გაიღო:
 ფორთხვით მაგარი ციხე აიღო!
 თუ არა მისი ხატზე ვედრება,
 სულ გაწყდებოდა ჩვენი მხედრობა!...
 როს სეფისკვერის გამხმარ ნამეცვებს
 ხალხს ურიგებდა პეშვით ხუცესი,
 მას გაუწოდა მხარგრძელმა ხელი:
 სურდა რგებოდა ერთი ნაქერი.
 ძლიერ ნაწყენი დარჩა ამითი,
 კათალიკოსი... იწყო კამათი:
 — „ძალიც კი ამას არ ივადრებსო,
 სირცხვილით თავს არ გაგვიადრებსო!“.
 ზაქარიას ეს თუმცა ეწყინა,
 ნაძალადევათ მან გაიცინა.
 (მაკვირვებს, თავი ვით შეიმაგრა
 და ამ ბერს იქვე არ სცემა მაგრა!)
 ვერ მოიფიქრა სხვა ამის მეტი:
 მოიხმო სომხის მან ვარდაპეტი,
 კათალიკოსი სომხის, ვანიდან,
 ეპისკოპოსი ერევანიდან,
 და გაიმართა ცხარე კამათი,
 თუ რომელი სჯობს სჯული ამითი?
 კათალიკოსმა ჩვენმა, ივანემ,
 თავგამოდებით თუმცა იომა,
 მაგრამ კამათში ხუცებს, ეტყობა,
 რომ ვარდაპეტმა ცხადათ აჯობა!
 კათალიკოსმა როცა ეს იგონო,
 სხვა იარაღი ეხლა მან იძრო.
 რომ შეეწყვიტა კამათი—მან სთქვა:
 — „სიტყვა სხვა არის და საქმე კი სხვა!
 რომ ჩვენი სჯულის თქვენ იგრძნოთ ძალი,
 გთხოვთ, მომიყვანოთ ქოლვაკი ძალდი!
 კი არ იფიქროთ, თითქოს საჩუქრად,
 მე მივითვისო ის თქვენგან მუქრად!
 ნუ შესწუხდებით თქვენ სულ ამაზე:
 სამაგიეროდ მზად მყავს ნაგაზი!
 სარდაფებში ამ ძალლებს დავამწყვდევთ,
 სამ დღეს არაფერს მათ ჩვენ არ ვაქმევთ
 მეოთხე დღეს აქ კვლავ შევიკრიბოთ.
 გეტყვით პირდაპირ, არა მოკიბვით:
 ნაგაზს წაუგდებ მე ჩვენ სეფისკვერს,
 ნახავთ, რომ არც კი ახლებს ის მას პირს!
 თქვენ სეფისკვერსაც გადუგდებთ ქოლვაკს,
 ის დაათენებს თუ მას რა ყოფას,—
 როგორ სიხარბით დაუწყებს ჭამას, —
 თქვენი თვალებით იხილავთ ამას!
 ბევრს ნუ ყოყობთ სჯულის სიწმინდით,
 სჯობს დროზე ხმა თქვენ სრულად გაჰკმოდოთ!“..
 ვარდაპეტი და სომხის ტერტერა
 ამ დაქადებამ სულ გაამტერა!
 ოინს უწყობდენ—ეს მათ ესმოდათ,
 მაგრამ უარი ღღარ ეთქმოდათ!
 ამრიგად ძალდი გასცვალეს ძალში,
 დაძმარებული დაბრუნდენ სახლში...

*) ამხ. ს. თ—ია ამჟამად სწერს იუმორისტულ პოემის: „ქართლის ცხოვრების“ მეორე ნაწილს. ვებქდავთ ნაწყვეტს ხსენებულ პოემიდან.
 რედ.



როდესაც თავი კვლავ მოიყარეს,
მშვიერი ძალის სეფისკვერს შესჭამს,
რომელსაც ფერდი აკვროდა ფერდზე,
ღონემინდილი ძლივს იღვა ფეხზე!
თამარ მეფეც აქ იყო მოსული.

კათალიკოსი, მღვდლები მოსილი,
როგორც შეპვერით წირვის დროს იმათ:
ჭრელ სამოსელში, ბარძიმ-ფეშხუმით,
მშვიერი ძალის სეფისკვერს შეშჭამს,
ყველა თქვენთაგანს უშეკვლად სწამს!
მაგრამ სხვას ფიქრობს კათალიკოსი:
ჩაიგდოთ თქვენ მან ნაცარში კოვნი!
— „წმინდა არს ღმერთი ჩვენი საბაოთ!“ ...

მაღალი ბანით რომ შემოსძახა,
ნუ თუ გახდება კიდევ სადაოთ,
რომ თვით ნაგაზმაც დაალო ხახა!
მას რომ წაუგდო კვერის ნატეხი,
თითქოს დაატყდა თავზე ძალოს შეხი, —
ისეთი მორთო ყუფა—ყუფილი!

(კი არ გეგონოთ თქვენ ეს ტყუილი!)
თითქოს ნაგაზი იყო მშინძარა:
სეფისკვერს ახლოს არ მიეკარა!
ქართველებს გული მან გაუხარა,
სომხებს კი ქელი მით მოუხარა,
შემდეგ წამოღო სომხის ტერტერა,
ქოთავს წაუგდო მანც სეფისკვერია,
რომელმაც მარდად პირი დასტაცა
და მაღიანათ წუთში ჩასტანცლა!
რაც დატრიალდა იქ ამის შემდეგ,
განა ღირს, რომ ჩვენ ამაზე შევდგეთ?
რომ ვადავავლებთ თვალს ამ მეტოქეთ,
ვერ ვიამაყებთ ჩვენ იმ ებოქით!
მაგრამ თქვენ სახე რატომ გიბრწყინავთ?
ეს სასწაული ხომ არ ირწყინეთ?
ნუ თუ მჭირდება მე იმის ახსნა,
კათალიკოსმა ოინი რა ჰქნა?

პირველი ჯგუფის ბავშვიც მიხვდება,
თუ ეს ამბავი რატომ მოხდება!
წინდაწინ ყავდა მას ეს ნაგაზი
განზრახ უზომო შოშ ქვეშ ნაზარდი!
გადაუგდებდა ის ძალოს სეფისკვერს,
ჩამოუსობდა თითებს თვის გრძელ წვერს,
და ამის შემდეგ ურტყამდა იმდენს,
ველარ ასწედა ძალის წილს იმ დღეს!
რა შეატყვევდა მას ისეთ ლუქმას,
თუ შეუტყვევდა ის შემდეგ სულთქმას?
ენლა რომ იწყო ყუფილი—ყუფა,
ასეთი აღზრდის იყო ნაყოფი!..

ათასი სხვები ამ კათალიკოსს
ასეთი ხრიკი შავ ლაქად აზის!
მაგრამ მხარგრძელი მან, ზაქარია,
ამ ოინებით ვერ გადაარია!
მხოლოდ ივანეს, მსახურთ-უხუცესს,
ეს შემთხვევა სულს და გულ უწყულებს!
მას შეუწინდება ის, ზაქარიას, —
(ერთი უყურეთ ამ თავქარიანს!)
მეფის წყალობა რომ არ დაჰკარგონ,
ქართველთა სჯულზე გადაიბარგონ!
ზაქარია ხომ კარგად მოიქცა,
რომ ის თავის ხალხს არსად გაეჭკა!
რენეგატობა არაფრად ვარგა,
ზაქარიამ ეს იცოდა კარგა,
მაგრამ ივანემ ვერა ვაიგო
და სომხის სჯულზე ხელი აიღო.

როგორ გავხდი ნიანგკორი

— როგორ გავხდი ნიანგ-
კორი? — ზშირად მეკითხებიან
ამხანაგები.

— როგორ და უბრალოდ,
ვგზავნი წერილს და მიბეჭ-
დავენ! უბასუხებ მე.

— კი, მაგრამ მეც რომ
ვგზავნი და არ მიბეჭდავენ?

— შენ რა თემაზე სწერ?
განა რასაც გავგზავნი ყველას
დაბეჭდავენ?

— თემა საინტერესო იყო.
ჩვენს ეზოში ერთერთმა მე-
ზობელმა მეორე მეზობლის
მწვეარს შიგ კაკალ კოჭში
მოტეხა ფეხი და მინდოდა ორივე მეზობელი გამეტა-
რებია ნიანგში. შემდეგ კიდევ გავგზავნე საინტერესო
მასალა, ვიფიქრე აუცილებლად გაუშვებენ მეოქი, მაგ-
რამ...

— მაინც რაზე იყო?

— ჩვენს სოფელში მღვდელს, რომლის „მრევლ-
საც“ სამი კაცი შეადგენდა, რელიგიურ დღესასწაულზე
ტაბლის მიტანაზე უარი უთხრეს და გაჯავრებულმა
მოდღეარმა მათ სულ დედის სული აგინა და მინდოდა
ესეც ჩამეგდო ნიანგში, მარა არც ეს დამიბეჭდეს.

— არა უშავს, წერას რომ ისწავლი კარგად, შემ-
დეგ დაგბეჭდავენ. მეც ასე მომივიდა. პირველ 10 წე-
რილიდან არც ერთი არ დაბეჭდილა, როცა მეთერთმე-
ტე წერილადან გოდორში ვინილე ჩემი წერილის ნაწი-
ლი იმ დღეს სულ ჰაერში „ვეფრიანავდი“ სიხარულით.
შემდეგ კი სხვა წერილი მილიანად დამიბეჭდეს.

„მეშ უნდა ვიყილო 100-მდე რეველი, 4—5 კვა-
რტი მელანი, 20-30 კალამი და კალმისტარი და ვწერო,
სანამ გოდორში მაინც არ დამიბეჭდავენ—მითხრა და
გამშორდა.



კალმოსანი.

ზაქარია კი, თუმც დაჩა სომხად,
ის ითვლებოდა თამარის მომხრედ,
უხარე ქართველი სხვა თავადები,
(ბევრი ფაქტია ამას თავადები),
რანედაც კიდევ ვიტყვი, მარა
თამარზე რაც ვთქვი—ჩემგან ეს კმარა:
ჯერ ბევრი დამჩა წინ საქექავე,
რატომ ვინეთქო ერთ ქალზე თავი?
მით უმეტეს, რომ ნამდვილად ვიცი,
ჩემს გარდა არის მოცლილი კაცი,
ვინც არ დაგიდევთ დროსა და მანძილს,
ისე აღიდებს მის ქოშებს, მანძილს!
რითიმე თავი რომ შეიქციოს,
კითხულობს, თურმე, ასეთ ლექციებს:
თამარის დროს სულ არ ეტყობო,
რომ ყოფილიყოს ბატონ-ყმობაო.
ისეთი ჰქონდა ხალხს მოპყობაო,
მას ეწოდება ბატონ-ყმობაო!
ამის მოწამეთ მას მოპყავს შოთა,
რამაც უზომოდ მე ამაშფოთა!
ბერიკაცს ტვინი ისე რამ უღრძო,
თუ რაებს ზოდავს—ეს ველარ იგრონო!
— „მაშ გაუმარჯოს ამ მეფის დროშას!“
ესლა აკლია, რომ წამოროშოს!..



„აბესალომ და ეთერი“



აბესალომ თაღლითაძე სა-
აგარაკო თაღარიგს შეუდგა
— ცოლთან მიალაპარაკება
ამ საგანზე ორი თვით აღრე
დაიწყო.

მისი „ორმა რწმენით“ ბაე-
შვისათვის წაღვერი „მისწ-
რება“ იყო.

— შენ და ჭუჭულა წრე-
ულს წაღვერში იქნებით.
ვეცდები მეც თქვენთან ვი-
ყო — უთხრა მან ცოლს, რო-
ძელიც მასში რამდენიმე წე-
ლია მოსიყვარულე ქმარს
აღარ ხედავდა.

— იმ პირობით, თუ შენც, ჩვენთან იქნები. მე
შგონი შენ ჭუჭულას მამა ხარ და ჩემი ქმარი! — უსაყვე-
დურა ცოლმა.

— აბა რას ამბობ თამრიკო?! ეჭვიანობ, განა: აკი
გიუთხარი, თუ მოვახერხე მეც თქვენთან ვიქნები — მეთ-
ქი!

აბესალომს რომელსაც გული „ჩიტივით უფართბა-
ლებდა“, წრეულს ეთერთან ერთად (მისი არა „ოფიცია-
ლურ“ ცოლთან, როგორც თვითონ არწმუნებდა). კის-
ლოვოდსკში უნდა გაეტარებია დრო.

— მე არ ვიცი რისთვის ან ვისთვის გინდათ ამდე-
ნი აგარაკები, სანატორიუმები და დასასვენებელი სახ-
ლები, თუ თქვენ პასუხისმგებელი პირები არ მოისვენ-
ნებთ და იექიმებთ! — გაჯავრებით უთხრა აბესალომს
ერთხელ ცოლმა.

— თაორტუნისტულად აყენებთ საკითხს, ჩემო თამ-
რიკო, — ზუმრობის კილოთი მიუგო მან ცოლს — აგა-
რაქები ჩვენ გვინდა მშრომელი ხალხისათვის. პასუხის-
მგებელ პირებს კი დასვენებისათვის არ გეცალბა, სო-
ციალიზმს ვაშენებთ. დასვენებას შემდეგაც მოვესწრე-
ბით! — თაღლითურად უბასუხა აბესალომმა.

კისლოვოდსკში გამგზავრების წინა ღამით აბესა-
ლომმა ცოლს წერილი მისწერა:

ძვირფასო თამრიკო! ძალიან მწყინს, რომ ვეღარ

მოვდივარ შენთან, ექიმების რჩევით იძულებული ვარ
წელს კისლოვოდსკში ვიექიმო. გული ორივე მხრივ გა-
ფართოვებულია. ხვალ მივემგზავრები. იმედია შენ არ
მოიწყენ ბავშვს მოუარე. გააკოცე ათასჯერ.

შენი აბესალომი

საუცხოვო იყო შეყვარებულთათვის საქართველოს
სამხედრო გზით მგზავრობა.

კისლოვოდსკში აბესალომ და ეთერი სასტუმროში
მოიწვევენ.

— ჩემო ეთერ, ხომ გიყვარვარ და გეყვარები, ხომ არა-
სლდეს დაგზომრდებით ერთმანეთს? — ეკითხებოდა აბე-
სალომი გულში ჩაკრულ ეთერს.

— სიკვდილიც ვერ დაგვაშორებს, ჩემო სიცოცხ-
ლე! — არწმუნებდა ეთერი და თან კისერზე ეხვეოდა.
ასე „ტკბილად“ მიდიოდა კისლოვოდსკში მათი
ცხოვრება.

ერთხელ დილით აბესალომს დეპეშა მიართვეს.
— ნეტავ რა მოხდა? — გაიფიქრა მან და დეპეშა

წაიკითხა.

წაიკითხა. გაშეშდა და ენა დაე ბა.
ეთერმა დეპეშა ხელიდან გამოსტაცა.

მოულოდნელი და სამწუხარო ამბავი იყო — აბესა-
ლომს ტფილისში იწვევდნენ პურისა და ბამბის აკრეფის
კამპანიასთან დაკავშირებით.

აბესალომ „დამაყვებელი“ სახით წამოდგა და სარ-
ვის წინ სევილიანი კილოთი ღიღინი დაიწყო:

ამელამდელო ღამეო,
ნუ გათენდები მალეო...
ეთერო, გულში ჩავკრავ,
ეთერო გენაცვალო...
პურსა და ბამბის აკრეფას
მე შენთან დავემლო,
არ წავალ, არ მოგშორდები,
თუნდაც გამწმინდონ მალეო.

ეთერის ეშხით თავბრუდახვეული აბესალომი
ლაღ კისლოვოდსკშია და ისევ ამ კილოზე მღერის — და
მანამ იმღერებს სანამ ახალ აკომპანიმენტს არ გაიგო-
ნებს საკონტროლო კომისიის დადგენილების სახით.

ყუმბარა.

საჩივარი ღვდელზე

— წმინდაო მამაო, უფალო არქიელო, ჩვენი სოფ-
ლის მღვდელი არ ვარგა, ლოთობს, და თანაც არ იცის
მღვდელმსახურება. გთხოვთ, მის მაგიერ სხვა დაგვინი-
შნათ, — მიმართეს სოფლელებმა. არქიელმა ისევე ლმო-
ბიერად მოაჩვენა თავი დღეღვაციას და შეპირდა, რომ
მეორე კვირას თვით დაესწრებოდა წირვას და გამო-
იბებდა...

როცა დღეღვაცია გაისტუმრა — არქიელი ჩაჯდა
სავარძელში, კრიალოსანის ყაითანზე ქარვის მძივთა
გადათვლით ფიქრებს მიეცა, თუ ვინ ვაგზავნა „მამაო
ლუკას“ მაგიერ, რადგან ის როცა ჩამოდიოდა ერთი
დატენილ ხორჯინის მეტი არ მოჰქონდა ძღვნად სოფ-
ლად ნაძარცვი და არქიელს კი თითო ჰამაზე ორი
ხორჯინიც არ ყოფნიდა; მაგრამ თან შეეცოდა ლუკა —
განა მან უფრო კარგად არ იცოდა, რომ ლუკას არა-
ფერი ესმოდა მღვდლობის?! ის ხომ შინა მსახურად
ჰყავდა, მას ხომ გივას ეძახდნენ ერისკაცობაში! — და
მღვდლად მიტომ აკურთხა, მიყრუებულ სოფელშიც
მიტომ ვაგზავნა, რომ მასთან მოახლედ ნამყოფი მამა
მიეთხოვებია, ის მამაო, რომელთანაც ბევრი ტკბილი წამე-
ბი“ ახსოვდა არქიელს.

აი, ახლაც თვალიწინ წარმოუდგა მამაო და გულმა
უფრო გაიწია მისკენ...

— დიალ, შეილო, ლუკა, შენზე იჩივლა სოფელ-
მა... — უთხრა არქიელმა, როცა ავიდა სოფლად, და
ლიმილით გადახედა, უწინ გამზდარ მამოს, მაგრამ ახ-
ლა ჩამრგვალებულ ფოფოდიას.

სუფრა მზადაა. არქიელი შეზარბოშდა. ფოფოდიას
შუბლზე უხის... და, რა ზარი დაირეკა, ლუკა შეიმო-
სა, ხალხმა დენა იწყო — არქიელიც აქაა.

ქვირაა. წირვა დაიწყო.

— უფალო არქიელო! ალილუია ღმერთო ჩვენო!
შენც ხომ იცი და მეც ვიცი, რომ ზუცობა სულ არ
ვიიცით?! სამი ქოთან იფული მაქვს: ერთი შენ, ერ-
თი მე — ერთიც მუხზე ვაგაწყაბუნოთ! — გამოსძახა მან.

— აი, აიაამინ! — მიუგო სახე ვაბრწყინებულმა
არქიელმა, — დიაკვნის მაგიერ, რომელსაც პირი ღია
დარჩა, რა არქიელმა დაასწრო — და შემდეგ მრევლს
მიუბრუნდა — როგორ, თითქოს არ იცის მღვდლო-
ბაი? აჰ! აღარ ვაბედოთ ჩივილი!..

— რა ვიცი... წინად კი არ სწირავდა ხოლმე ანე
კარგად, და... ალბად შენი შიიშინდა! — მიუგეს ახ
ძიელს.

ბარსან.

კველი და ახალი

ნიკო ხანჯალაძეს ორჯერ შეხვდა საქართველოს გასაბჭოებამდე მის მშობლიურ სოფელ ოკრიბის „დაობ ლება“ და რკინის გზით „გასეირნება“: ერთხელ რთილისში იყო და მეორეჯერ ფოთი ინახულა. მისი პირველი მგზავრობა მენშევიკების ბატონობის ხანაში მოხდა, გასაბჭოებას ნიკო ადვილად შეურიგდა, რადგან იგი ძველი რეჟიმის დროსაც ვაპროლეტარებულო აზნაური იყო და რაც უმთავრესია, — შეურიგდა მიტომ, რომ მისი შვილი — შურა კომუნისტი იყო.

ამას წინადა ნიკო ტფილისში ჩამოვიდა შვილის სანახავად.

ტფილისში ჩამოსვლისას ნიკომ გაშალა თავისი ქოლგა სადგურის მოედანთან და ისე „ჯიქურ“ მონდომა ტრამვაის ვიწრო კარებში შესვლა. გაოცებულმა მგზავრებმა ძლივს დააკვიციეს.

— არ შეიძლება შემოდგომის თბილ დღეებში ოპერის თეატრში ნაბდით, ქოლგით და კალაშნიკით წასვლა! — აუხსნა შვილმა ოპერაში გამგზავრების წინ. ნიკო ბედს, უკეთ რომ ვთქვათ — შეიღს დამორჩილდა.

თეატრში მეორე იარუსის აივანზე მოხვდენ.

ბნელში, როდესაც მოქმედება მრმდინარეობდა ნიკომ გადახარა ყისერი და „ზდილობიანად“ „გააბურჭყა“.

— ვინ არის ეს ხულიგანი, რომ მალდიდან იფურთხება?

— იდიოტ!...

— მერზავეც! — ახმაურდა დაზარალებული პარტერი.

ნიკო ჩაჩუმდა... თუმცა უხერხულობა და ბრაზი, რომ ასე „უაქანონოდ“ გალანძლეს და მისი ლეიძლი შეილიც მისი მამის „მტრებს“ მიემხრო, — სამოქმედოთ „იწვევდა. ჟინის მოსაკლავად ამოიღო თავისი ყალიონი, გატენა თამბაქოთი, შემდეგ ამოიღო ბენზინის ასანთი და ბნელ დარბაზში ყალიონს მოუკიდა.

— რას შევები მამაჩემო?! ვის გაუფონია, როგორ შეიძლება სათეატრო დარბაზში თუთუნის მოწევა? — მიაყვირა შურამ.

— საცანრად მიგდებთ ყმაწვილო? პირი ხომ არ შეგიკრავთ ჩემ წინააღმდეგ? ტრამვაიში გაშლილი ქოლგით შესვლა არ შეიძლება, ნაბდის მოსხმა არ შეიძლება, გადურთხება არ შეიძლება, თამბაქოს წვევა არ შეიძლება, — ეს არი თქვენი ცოცხალიზში? შევარცხვინე აწი თქვენთან ჩამომსვლელი! — დაიძახა ნიკომ და პირდაპირ რკინის გზის სადგურისაკენ გაეშურა.

პირი და ქრისტე

პირი მისია
მართალია,
უჭკუო და
ტუტუცია
ვითომც ვირი,
პ. გრამ, მან რომ
არ იცოდეს,
მაგაც, ს რას იტყვის
ქვეყნის პირი?

და თუ ხშირად მიაშიტობს, კიდევ ოჩნობს ზოგჯერ გზაში, ვინც ხვედრს იცნობს სახედრისას, ვინ დასძრახავს ვერს ამაში?

მე ქვეყანი ხალხის ჯავრით აღარა ვარ გულში მშვიდად, თორემ ვირებს, მმოწმობს ქრისტეც, მე ვაფასებ ერთობ დიდათ,

რატომ — ამის მიზეზი მაქვს, საპატიო მეტის მეტად, და ნუ გწყინთ, თუ არ დაგითმობთ, ვირი წელში გასაწყვეტად!

ვირს პატივს ვსცემ არა პარტო მე, ღვთის მონა და მორჩილი, ვირი მუდამ თვით ქრისტესაც ლაჯში ჰყავდა ამოჩრილი,

და უმისოთ ერთ ნაბიჯსაც არ წარსდგამდა ვასაქირში! — ერთი სიტყვით ინტერესი დიდი ჰქონდა ქრისტეს ვირში.

მაგალითად: მეფე იოთღს, მოუარა როს ხელმტურმა, — ბრძანა ყრმათა ამოუღება, თითქოს იყო ინდის ხურმა:

იი, ამ დროს ყრმა იესო იოსებმა, მამამ მისმა, შესვა ვირზე დედითურთ და ეგვიპტისკენ თავი მიუსცა!..

სიმძიმის ძვეუ

განვლო დრომ და ვირიც ქრისტეს კვლავ დასჭირდა ერთხელ მთაში, თაბორის მთას ედახთან, უბჯენია წვერი ცაში!

და იმაზე ასვლა ერთხელ მოესურვა რა იესოს, მოციქულთაც ფიცხლავ ვირი მორთვეს და მასზე შეაყეს...

და შეუდგენ ვირით აღმართს, უქანაღზე ჯოხის ცემით სახარება აქ სდუმს, მაგრამ მე ეს ვიცო გადმოცემით!

მერე რა ვქნათ? შემდეგ ფაქტზეც სდუმს ავრეთვე სახარება: როცა ქრისტეს უღაბრისკენ მოუწია გამგზავრება,

მან ქვეითად გაიარა ეს გზა მაშინ თუ აქლებით? ვირზე იჯდა! მოციქულნიც მირეკავდენ იმ ვირს ცემით...

და ამ რიგად გაატარეს იქით-აქით ქრისტე ვირით... სახარება მალავს ფაქტს და მე თვით ვამბობ ჩემის პირით...

და ამაში რომ არ ვცდები, და ამაში რომ არ ვარცდები, ერთ მაგალითს კვლავ მოგიყვან, და, მკითხველო, შენც მიხვდები, რომ მიწვედეს ლაპარაკი გამონაკლით მე აუბამდ. ვირის ხედნის საკითხებში თავს არა ვგრძნობ მისებრ ხამად.



რა თქმა ოჩნო, ქრისტეს შემდეგ კვლავც მოუნდა გზის წარება... (ამ ფაქტს უკვე ესდენ ძლიერს ვერ ფარავს ვერც სახარება). რომ ბზობა დღეს ერთხელ ქრისტე გაემგზავრა ერუსალიმს, ებრაელთა პასუქობის რომ მისდევდა წესს და ყალიონს..

და რადგანაც ამ გზის, გრძელის, უჩვეულო იყო ქრისტე, დადაცურდენ მოციქულნი. მორთვეს და შესვეს ვირზე! უქანაც თვით ჩამოუდგენ და ურტყამდენ ჯოხებს ტუღში, როცა თავი ზედ „პასაქირს“ არხენინად ჰქონდა ქუღში. მხოლოდ, როცა ხალხი გზაში მის ბზის ტოტებს წინ უფენდა, ვირი ზღაზნით ვლიდა გზას და სიმძიმის ქვეშ მწარედ ჰქმუნდა... ამზობენ, თუ სხვა პატივიც

მეგვიძღრამი

ბევრი მისცა ქრისტეს ხალხმა, და ვის ახსოვს, თუ ამ პატივს ვირის ოფლიც ვით შეხანმა...

პა, ორ ათას წელზე მეტი ხალხი ქრისტეს კვლავ ადიდებს. მაგრამ ვირის ამაზევი კი

ქ არავინ მხას არ იღებს... იქნებ მცირე მაგალითით დასაბუთდა ეს ამაგი?

იქნება ხალხს სხვა არ ახსოვს ქრისტეს ვირის ამაწანაგი?

ის ერთი და იყო იქნებ, რომ გადაშმა ზურგზე ტყავი, თორემ ყველა სხვა ხსნილია მსგავს შრომისგან „ვირის თავი“.

არ ვიცი, ეს ქრისტეს სჯულში როგორ არის გადაჭრილი: ჩათვლილი აქვს ვირის ამაგი, თუ ფუქედ არს გადაყრილი... და ამ „როთული“ საკითხისგან თავს ხსნილად ვგრძნობ თუმცა მეც

დღეს, მაგრამ შემდგომ, ღვთის სახელით, განა, ცოტა ვირი ხედნეს?...
გაზინრა.

მედუზა



ექიმმა მითხრა

— საზოგადოდ ნასწავლ ხალხს ყველას პატივს ვუსცემ, განსაკუთრებით ექიმებს, მაგრამ ამ ბოლო დროს თითქმის ყველა ექიმები შემეჯავრდა.

— რა არის ამის მიზეზი? — შევეკითხე აკვიტებულ თანამოსაუბრეს (ჩვენ ტფლისიდან მოსკოვისკენ მიმავალ მატარებელში ვიჯექით).

— ერთი პაპიროსი თუ შეიძლება? — და პაპიროსის მიწოდების შემდეგ, განაგრძო:

— ჩემი სახელი ტრიფონ, ცოლი მყავს, უფრო სწორით რომ ვთქვათ, მყავდა. ჩემთვის იგი მკვდარია და მე მისთვის... ჰო—და იმას მოგახსენებდით. მოახლოვდება თუ არა ზაფხული, დაკუთრდება ჩემი ცოლი და მეუბნება:

— ტრიფონ, დღეს ექიმთან ვიყავ და მითხრა — თუ გინდა ქარბმა გაგიაროს და შეილი გეყოლოს, ახტალაში წადიო.

ვიცი რა ქარებიც აქვს, მაგრამ რა გამეწყობა, ვიღებ ვალს და ვგზავნი სამკურნალოდ.

ბრუნდება ერთი თვის შემოივ ახტალიდან და ისევ მიდის „თავის“ ექიმთან.

— ტრიფონ, ექიმმა მითხრა — ქარებს გაუვლია, მაგრამ გული დაგზიანებია და აუცილებლად უნდა წახვიდე მაცესტაში, თორემ შეილი რომ გეყოლოს, ვერ გადიტანო.

იქით ვეცემი, აქეთ ვეცემი და ვაგზავნი ცოლს მაცესტაში.

ჩამოდის მაცესტიდან. ისევ ნახულობს „თავის“ ექიმს და შინდებრუნებული, მეუბნება:

— ტრიფონ, დღეს ექიმთან ვიყავ და მითხრა, რომ კლექის ნიშნები გაქვს და თუ ახლავე არ უშველე თავს, მერმე გვიანი იქნებაო.

— სად მაქვს, გენაცვალე, ამდენი ფული, ხომ იცი...

— არაფერიც არ ვიცი... მე ის ვიცი, რომ ორ დღეში აბასთუმანში უნდა წავიდე. შენ კი გინდა, რომ მოგკვდე და მერმე სხვა ქალებში იარსიყო, მტრობ... ვაი დედაც! — და მოჰყვება ტირილს.

ვამშვიდებ, ვაწყნარებ და ვამგზავრებ აბასთუმანში. ჩამოდის აბასთუმნიდან.

რა თქმა უნდა მეორე დღესვე მიდის „თავის“ ექიმთან.

— შემოდგომა დაიწყო, საგარაკო სეზონი გათავდა, აწი მაინც მოვიხვეწებ! — ვფიქრობდი სახლში მართოდ დარჩენილი, როცა ცოლი ექიმთან იყო წასული.

— ტრიფონ, ჩემო ძვირფასო, ექიმმა მითხრა, რომ ეს შემოდგომა სოსუმში თუ არ გაატარე, შენი მობრუნება შეუძლებელიაო.

უკანასკნელ შესაძლებლობას ვიკრეფ და ვაგზავნი. შემოდგომის მიწურულში ჩამოდის.

ისევ ნახულობს ექიმს.

— ტრიფონ, — მეუბნება ცოლი როცა სამსახურიდან შინ მოვდივარ, — დღეს ექიმმა მითხრა — თუ თავს კარგად არ მოუარე, ვაგიკრებო.

— ამაზე მეტად? — ვფიქრობ ჩემთვის და ცოლს ვამშვიდებ: — ნუ გეშინია, ჩემო ძვირფასო... წამალი რა გამოგიწერა?

— მშვიდი და უდარდელი ცხოვრება, კარგი კვება, კარგი ჩაცმა, რაც მოგესურვოს, ყველაფერი შეისრულე.

თორემ ნერვები უფრო აგეშლებო, ხვალ ერთი კრემ-დიშინის კაბა უნდა ვიყიდო.

— ექიმმა გითხრა?

— ჰო, რაც მოგესურვოს, ყველაფერი შეისრულე: აი ეს არის.

ყიდულობს კაბას.

— გენაცვალე, ოთახის მილაგება რა დიდი საქმეა, რომ ყველაფერი ასეა არეული! — ნელტკბილად ვსაყვიდურობ, როცა სახლში სამსახურიდან ვბრუნდები და ოთახის არეულ-დარეული მხედება, ხოლო ჩემი ცოლი კი კატას ეღიერება ლოგინში.

— როგორი შეუგნებელი კაცი ხარ, ტრიფონ, სად შემიძლია ოთახის დალაგება, დღეს ექიმთან ვიყავი და მითხრა: სახლში ხელი არ გაანძიო, ყოველ დღე მოკოლადი უნდა ჰამო, რომ ჯანი მოგემატოს, თორემ ამ წელიწადს ვერ გადიტანო... და მაშინ რა გეშველება, ჩემო ტრიფონ! — და აცრემლებული ცოლი ცალი ხელით მომეხვია.

— მოვისვენებ — ვფიქრობ ჩემთვის, მაგრამ მას ვამხნეებ: — ნუ გეშინია ჩემო მშვენიერო!

იკვებება ტკბილეულით. ხელს არ ანძირებს ოჯახში. შენი ტრიფონ კი შეცურებულა ვალებში.

— გენაცვალე, ამდენი ძილი მოგკლავს, — ვეუბნები, როცა სადილის შემდეგ კიდევ იძინებს.

— ექიმმა მითხრა — ძილი მოგიხდებაო, რაც შეიძლება მეტი იძინეო, ძილი არ მოიკლოო. ადრე დაწეკი და გვიან აღეკიო.

ვხედავ საღამომით ხშირად მოიკაზმება და თეატრში მიბრძანდება, ნაშუალამევს ბრუნდება სახლში.

— აქი ექიმმა გითხრა, რომ ძილი არ მოიკლო, ადრე დაწეკი! — ვუსაყვიდურობ ტკბილად.

— ეს არ არის შენი საქმე. ექიმმა მითხრა, რომ თეატრში იარე, მუსიკა ნერვებს ამშვიდებსო! — და ჩემი თანამგზავრი აღელვებული წამოდგა. — ერთი პაპიროსი თუ შეიძლება?

პაპიროსი მივაწოდე.

იგი ისევ დაჯდა და განაგრძო: — დადგა თუ არა ზაფხული, ისევ აქიკეკა ჩემი ცოლი.

— აბა, ტრიფონ, შენებურად უნდა დაფაცურდე ახლა. ხვალ აუცილებლად წყალტუბოში უნდა წავიდე, ფატია მიდის, რაღა, იმას ჩამორჩე თუ? ისემც რა ვუთხრა მას! ერთი ხუთასი მანეთი მიშოვე და, არა უშავს, წავალ, შემდეგ მომამგვილებ ფულს.

— ხუთასი გეყოფა ვასამგზავრებლად? — განგებ ვეკითხები.

— თუ მეტს იშოვი, კარგია!

— ვიშოვი, გენაცვალე, ვიშოვი, ამხანაგს გამოვართმევ, ამ წუთში მოვალ! — დაეიმედე და წამოვედი სახლიდან.

წამოვედი და ეს არის რუსეთში მივემგზავრები. აღარ მინდა მისი არაფერი... შორს მისვან... ხა-ხა-ხა-ხა! ალბად ახლაც მელოდება ქალბატონი... ჰმ! „ექიმმა მითხრა“! ვასაწყვეტია ექიმები. რატომ კარგს არ ეტყვიან ქალებს — ოჯახს მოუარეთ, ქმარს პატივი ეცით, საქმე გააკეთეთო... ჰმ! „ექიმმა მითხრა“... აბა ახლა უთხრას ექიმმა სადაც ვარ... უკაცრავად, ერთი პაპიროსი თუ შეიძლება...

ისეღი.



მისალმება

ჩვენი მოდგმის სასიქადულო შვილო ნიანგო!

მოელმა ჩვენმა მოდგმამ გამოგზავნა შენთვის მომკლაცხა შენი მოღვაწეობისათვის წლის თავი, შენთან მხეზე თავი დამეღვა და განცხრომას მიეცემოდი შენი დიდ შრომით გაამაყებულნი, მაგრამ ვერ მოვალწიე და წერილს გწერ, რომ გითხრა, თუ რამ შემიშალა ხელი.

ვიცი, შენ საერთო, საზოგადო უფრო გაინტერესებს, ვიდრე პირადი, კერძო და ამიტომ ტფილისზე შეგწერ-

ები, მისე მოსახლეობის საკუთრეველ თვისებებზე. ვაგონიდან რომ ჩამოვხტი სწორედ ოთხის ნახევარი იყო. გამოვედი ქუჩაში თუ არა შეეზოვემ მომავარა საშინელი მტვერი. ვუთხარი — ამხსნაგო ამ მტვერს რომ მაერი, რა დაგიშავებოდი. შეგმომხედა, ხმაც არ გაუცია და განავრძო ქუჩის სვეტა. ბრაზი მომივიდა:

— კაცო, ნუ მსერი...
— გაიარე, ხომ უყურებ ათასი კაცი მიდი-მოდის და არაფერს მეუბნება, შენ რა წითელი კოჭი ხარო! — შემომბიბღირა.

— პო და ათასი რომ მიდი-მოდის, სწორედ იმიტომ არ უნდა ხვეტდე, სხვა დრო ვერ იპოვე?

— შენ, ძმაო, ციდან თუ ხარ მოსული ისევ იქ წადი, მართლაც, იქ უფრო სისუფთავეაო — დამცინა კიდევ!

— ციდან კი არა ნანგრევებიდან, კლდეებიდან ვარ დებუტატად გამოგზავნილი, იქაც კი ქარი ხვეტს და წვიმა რეცხს, როცა მუშაობა შენელებულია, შენ კი სწორედ მუშათა და მოსამსახურეთა მიმოსვლის დროს ავიფორიაქებია ქუჩა.

მეგზოვემ ბუნათაც არ ჩამაგდო.
— ვიფიქრე. — ვილაც სპილო იძლევა ასეთს განკარგულებას და პატარა ხელიც რა ხმა აქვს, იქნებ დიდმა ნიანგმა მიშველოს მეოტი.

გამვლელთაც უცნაური ჩვეულება ჰქონიათ ამ ტფილისში: ვისაც გაჩერება სჭირდება და შეხვედრილთან ლაპარაკი, განზე კი არ მიდგება, რომ დანარჩენთ გზა დაუთმოს, არამედ უეჭველად შუა ქუჩაში გაეხიბება, განსაკუთრებით კი კიბეზე, გადასასვლელზე და როცა წაედება ვინმე, ვერ გრძობს უხერხულობას, დატაკების... ბეჭს არ შეარჩევს, ფეხს არ მოიცვლის...

ბინა მგლობართან მქონდა დაპირებული.
მილაციონერს ვთხოვე ეჩვენებინა რომელი ტრამვაით წაგზავნიყავი მაჩაბლის ქუჩისკენ.

— რა ვიციო! — მიპასუხა.

— არ იციათ მაჩაბლის ქუჩა სად არის?

— რა ვიცი, ხაშია, რამდენი ქუჩაა ამ დალოცვილ ტფილისში!

— აბა რისთვის ხარ აქ დაყენებული. — ჩაეხურღლულე და ტრამვაის კონტროლიორს მივმართე:

— იქითგან მიდის 1, 2, 3, 4 ნუმერები, სულ ერთია, ყველა მიგიყვანსო.

მეც მე-2-ში ჩაჯექვ და... სილაზე, აბანოებთან ამოვიყავი თავი.

გამოიჩვენა, რომ ნუმერები არიყულა ყოფილა და რაც

ერთის მხრით მიდიოდა, მეორე მხარეზე მიდის!

— იმე!
— ზმუკი! — მომამაბა ვილაცო.

გავშმაგდი.
სიანგის კი არა ნამდვილი ცრემლები დაეღვარე.

კონტროლიორს მივმართე:
— ნუ თუ შეიძლება გზავერების ასე გაწამება?

— მერე რა... ჩაჯექი სხვა ვაგონში და დაბრუნდი უკან.

— იმე!
— ზმუკი!

— თუ აქეთ აგზავნიდით რონოდას, ნუმერიც შეგეცვალათ!

— პო, ახლა ეისტუნოთ ვაგონის სახურავზე? დაბრუნდი და ის იქნება — არ დაქცეულა ქვეყანა!

ეს საოქვამი: „არ დაქცევა ქვეყანა“ მაგიყებს, ჩემს სიმკვირცხლეს სიხანტით სცელის და ძველი რუსეთის: — „ნიჩეოს“ მაგონებს.

რა ვაგავრძელო, დაებრუნდი უკან, მოექტბნე დაწესებულება, სადაც ჩემი მეგობარი მსახურობს. აქ ხალხი ასობით შედის და გამოდის, მაგრამ კარის ერთი ნახევარი დაკეტილი დაიხვდა, გაეოცდი. ნუ თუ არ ღირს ამ ნახევრის გაღებაც, რომ შესვლა-გამოსვლა გაუადვილდეს ხალხს, მაგრამ ეტყობა ტფილისი სიციწროვის მოტრფიალეა! — აქ არაეინ გრძობს უსიამოვნებას, როცა ვინმე ან რამე ეხლახუნება-ეღება... ვილაც ყმაწვილი ვაჩხერილა ღიათ დარჩენილ კარებში და არხეინად ეწევა პაპიროსს — არც არაეინ იხდის ბრდიშს დატაკების დროს, არც არაეინ სთხოვს გზიდან ჩამოგვეცალეო.

შევედი, როგორც იქნა.

უჰ, რა პაერი დგას! ეტყობა ფანჯრებს და კარებს წლობით არაეინ აღებს... დახურული პაერი თავბრუს მასხამს... გამოვეარდი და ხელოვნური წყლის დასაღევათ შევარდი... აქ უარესი ამბავია. ხალხი ესევა ლედს, ბურახს, ლიმონის, მსხლის და სხვა წყლებს, რომ გავრილდეს, მაგრამ რამდენადაც ცივი სასმელები გვშველიან, იმდენად მოგთენთავს, მოგშლის, გულს შეგიწუნებს დახშული პაერი და... სუნია...

და არაეინ გაახსენდება ფანჯრები დააღოს.

ადგილობრივ მოსამსახურებს მაინც არ შეეცოდებათ თავი.

განსაცვიფრებელია.

სასახლის ქუჩის დასაწყისში პატარა ბაღნარი მოღწეობელი დარჩა სამი წელია. ვერ ეღირსა ვერც სკამებსა და ვერც კარებს... ეღბაჭიძის დაღმართის ბაღი დაკეტილია. რას უცდიან?

ერთის სიტყვით, მე ავად გაეხდი, ვწევარ!

და აი წვრილით გიგზავნი ჩემს მოლოცვასა და ცნობებს — აწი შენ იცი.

ყველაფერი ჩემ მიერ შემწვეული და დღეს მიწერილი წვრილმანია, მაგრამ ცხოვრება ხომ წვრილმანებო-საგან შეტდება და მსხვილმანსაც გავიზიარებ, თუ განცვიფრების გაშვეშება თავიდან მოვიშორე და შევეფოტხედი, სადაც დიდო სპქმეები ბდება და კეიოდება.

შენი ზღაპარი.

ნიანგთა და ხელიკთა სამოდგმითაშორისო ვნოდან მთარგმნელი.

ახალი გამგე



— ვიქტორ, იცი ვინ და-
ნიშნეს გამგედ?
— ვიცი, კარგა ხანია, გა-
ვიგე... ხე ხე ხე! კარგადაც ვი-
ცნობ და ტრახახობაში ნუ ჩა-
მომართმევთ, კარგადაც ვიცი
მისნი ჩვევანი...
— რამდენი წლისაა?
— მის დაბადებაზე არ მი-
ყურებია, მაგრამ ასე, ორმოც
წლამდე იქნება.

— ლამაზია? — იკითხა მე-
მანქანე ქალმა და მანქანაზე მიმაგრებულ სარკეში
ჩაიხედა, ტურს საღებავი მოუმატა.

— ლამაზი? ხე ხე ხე! როგორ გითხრათ: ზოგს ღვდი
ლი მოსწონს, ზოგს ღიაკვანი.

— კარგათ იცვამს? — იკითხა მოლარემ.

— სრულებით უბრალოთ!

— ქეიფი უყვარს? — დაინტერესდა მწე.

— ერთ წვეთს არ სვამს.

— ეგ ღიდი მომჭირნე კაცი იქნება, — მცირე ფიქ-
რის შემდეგ დაასვენა ბუჩქალტერმა.

— კაპიკს კაპიკზე აწებებს.

— საინტერესოა, მიწერ-მოწერა თუ უყვარს. —
იკითხა კანცელარიის გამგემ.

— ქალაქს დასანახად ვერ იტანს. ისე, თქვენზე
კი არ ვამბობ, მაგრამ თავის დროზე ეგ იყო საქმის გა-
ქიანურებასთან და კანცელიარშიინასთან მებრძოლ კო-
მისიის თავმჯდომარე.

— საერთოდ ესმის რაიმე, — ანლოს მოიწია სპეცმა.

— გადაუჭარბებლათ შემოდლა ვსთქვა, რომ ცოც-
ხალი ენციკლოპედიაა და თვითონ ერევა ყოველ წვრილ
მან საკითხში, — ეშმაკურად ჩაიცინა ვიქტორმა.

— სისულთავეს როგორ უყურებს ნეტა? — გაუბე-
დავად სთქვა დამგველმა.

— ო! მაგ დარგში უცნაურია მისი ხასიათი. ძაფი
რომ დაგივარდეს, იატაკზე თმის ღერი დაინახოს და
თვალი მოკრას, მშვიდობით!

— სისწრაფეზე როგორი აზრისაა? — იკითხა შიკ-
რიკმა.

— სისწრაფეო? ჰმ! მოგეხსენებათ, სისწრაფე შედა-
რებითია. ეგ მაგალითად სიარულს ვერ ინელებს, რაც
უნდა მარდი ნაბიჯი არ იყოს. ყველაზე დაბალ ტემ-
პათ მაგას სირბილი მიაჩნია. წერილი რომ გაგატანოს,
ორ წუთში პასუხით უნდა მობრუნდეს. ზარის დაწკარუ-
ნება გათავებული არ უნდა ქონდეს, რომ კაბინეტში
უნდა გაჩნდეს.

— შეკამათებას თუ იტანს? — ჩაერია იურისკონსუ-
ლტი.

— ასე რომ ღვთის წყალობას არ მოგიტმენს. რომ
გითხრას, ეს მოლარე კი არა, პროპელერიაო (მოლარეს:
— თქვენზე არ იფიქროთ, სიტყვამ მოიტანა!), უნდა და-
ეთანხმო. თითო სიტყვის შებრუნება უღრის თითო ხა-
რისხის დაკლებას. მაგალითად, მეშვიდე თანრიგის თა-
ნამწრომელმა ექვსჯერ სიტყვა რომ შეუბრუნოს, ხელიდ
პირველ ხარისხზე დაეა. მერე კი, ერთი ულაგო ალა-
გას ცხვირის დაცემინება და მორჩა: მშვიდობით თურის
პრუდენციავ... აიკარ ბარგი!

— მუშაობა თუ უყვარს? — შეეკითხა მოანგარიშე.

— დილიდან საღამომდე.

— შტატის შემცირება? — გაბედა მოანგარიშის უმ-
ცროსმა თანაშემწემ.

— ამ მხრივ მას შეიძლება ნამდვილი ინსპექტია
უწოდოთ: შტატი — სხარტი, ხელუასი — მტკიცე ფონდე-
ზში, მუშაობა — ბევრი.

— რა სოციალური წარმოშობისაა? — იკითხა ადგილ-
კომმა.

— როგორ გითხრათ: მამა ყავდა ლუმბენ-პროლე-
ტარი, დედა ბოგანო გლუხის შვილი. განსვენებული მა-
გისი ბაბუები თავიდანვე აქტიური კოლმეურნეები იყ-
ვენ, ბებიები ხელსაქმობას მისდევდნენ, სიმამრი ახლაც
ცოცხალია, მაგრამ იმდენათ პროლეტარული ელემენ-
ტია, რომ თავისი არაფერი აქვს და ერთხელ მაგის ხარ-
ჯზეა. სიღღერი თავიდანვე სოცმეჯებობაშია ჩამშული.
ცოლის ძმები პროფესიონალი დამკვერელები არიან, ხო-
ლო თვით მაგის ძმა წითელი კუთხის გამგის მოადგი-
ლეა (ეს უკვე საზღატვირთვის წესით). ამრიგათ, სოცია-
ლური შემადგენლობის მხრივ მირონივითაა...

— ფიცხია? — ჩაიღუღუნა არქივარიუსმა.

— გააჩნია ვისთვის: ყოფილი ხალხისთვის (თქვენ-
ზე არ ვამბობ, მან არ იცის, რომ თქვენ ძველად ბოქა-
ული იყავით?) თოფის წამალი!

— საიდან იცი ყველაფერი? — შურით შეეკითხა
სტატისტიკოსი.

— ვიცნობ შე კაცო, ჩემი ახლობელია.

— ბედნიერი... — გაიფიქრა ყიღამ.

გამგე მოვიდა

— საღამოს ყველა აქ უნდა იყოს, ახალი გაგე
მოვა და კრებაა, — მოიტანა ამბავი ვიქტორმა.

— შეიქნა მზადება.

— რა ვქნა, რომელი კაბა ჩავიცვა? — ეკითხება მე-
მანქანე ვიქტორს.

— ხე ხე! არ მახსოვს, რომელი ფერი მოსწონს. მე
მგონია თეთრი კარგია.

— კი მაგრამ თეთრგვარდიელთა თანამგონობი
რომ ვეგონო?

— აბა შავი იყოს!

— ვაი თუ ეწყინოს, ჩემს მოსვლაზე შეგები ჩაუც-
ვამსო.

— თუ გინდა წითელი კაბა ჩაიცვი.

— წითელი? ვაი თუ პაღხალიმობა დამწამა და
მიტმანსლი ელემენტადაც ჩამთვალა...

— არ ვიცი, წვერი ვავიპარსო თუ არა, — ეუბნება
მოლარე ვიქტორს.

— გაიპარსე.

— ვაი თუ პრანჭიობა დამწამა!

— მაშ ნუ იპარსავ!

— ბატონი ხარ, მაგრამ წვერ-ულვაში მოივებული
მაქვს და იქნებ ეგონოს, რომ კინო-არტისტობას ან პოე-
ტობას ვიწყებ... თუ ძმა ხარ, ვიქტორ, იქნებ წასწურ-
ჩულო, რომ მე არა თუ კინო-არტისტი, არამედ პოეტიც
კი არა ვარ... თუ საჭიროდ სცნო, ისიც უთხარი, რომ
კინოში არც კი დავდივარ და ხელოვნებასთან საერთო
არაფერი მაქვს...

— კაცო, რაღა გუშინ დამირჩა ეს ოხერი თავი გა-
პარსული, — ამბობს დაღვრემილი ბუჩქალტერი, — ვაი თუ
ეწყინოს!

— რატომ შე კაცო.

— რა ვიცი, იქნებ იფიქროს, განგებ მოუპარსავსო.

— სისულელეა, — ამშვიდებს ვიქტორი, — მე ვერცვი
შენზე.

— შენ გენაცვალე ვიქტორ, უთხარი, რომ სრუ-
ლიად შემთხვევით ვავიპარსე და არავითარი უკანა ზრა-
ხვა არ მქონებია... რა ვიცოდი, ასეთი ამბავი თუ დაგ-
ვატყდებოდა!

— კაცო, რა ღმერთი გამიწყრა, — ჩივის კანცელია-
რიის გამგე, — ხალათი გასარეცხად მივეცი გუშინ... ახ-
ლა იმულებული ვარ ამ ახალი კოსტიუმით გამოვც-
ხადდე.

— მერე რა უქირს?

ა თ ი ნ ი ს მ ა ვ ზ ე

1.

ჟინიანი
მხარ მტრებზე
უსათუოდ
გაპარავ კბილს.
რა გიძღვნა
უკვლავ თქმებზე.
ნეტა ან ვის
ასმევ ტკბილს.
არაფრის წინ არ იხევ—
ლესავ კლანჭებს ელვიანს.
ნაზავ ცუდს—ხელზე იხვევ—
იქ ხარ, სად არ გელიან.
აფორიაქებ ორგულს
ნაღვლით რომ იყვედრება.
განა შენგან აქარგულს,
სიტყვას რამე ედრება.

ტარზან

2.

1. კულაკი

გზა და ხიდი ჩამეშალა მთელად:
კოლმეურნემ დაძრა, გადაშთელა!
ნიანგს წელი შეუსრულდა ათი.
გაქრეს მისი მოღვაძე, ბილწი, უკუღმართი.

2. მავნეველი

ამ მთავრობის ვიყავ მტერი მუდამ,
მაგრამ საქმე წამივიდა ცუდათ,
ეს რა მესმის, ნიანგს ათი წელი?...
ჰმ... ახლა კი მთლად მოწყდება წელი.

3. სიმშლიანბ - მფლანგველი

გვყავარს ღღრება, თაღლითობა, ფული,
ცოტა შრომა, სმა-კამა კი სრული,
ამ „ნიანგი“-ს მოღვაძე იყვეს კრული,
სად არ ვიყვეთ, ის მოგვაგნებს სუნით!
მაზლას.

3.

ერთ მშვენიერ ღღეს „ნიანგი“ ბათომის ქუჩებში გამოცოცდა. ბათომში ამ დროს ბევრი „ძვირუასი“ გვამები ცხორებდნენ; ნიანგის გამოჩენამ ისე დააფრთხო ისინი, რომ კინაღამ ზღვაში ჩაცვივდნენ შიშისაგან, მაგრამ ერთმა—„ტყუამახვილმა“ გვამმა გადაარჩინა.

— რატომ იხრჩობთ თავს? დიდი, დიდი, ერთი კვირა იარსებოს „ნიანგმა“. — მიმართა მან და ზღვაში გადასაცვენად გამზადილი ხალხი შეაჩერა.

„ნიანგი“-ს გაცნობის სურვილმა ჩემში შოუსვენრობა გამოიწვია და ერთ მშვენიერ ღღეს მივსწერე ბარათი. ბევრ ძღვენს შევპირდი. (სხვათაშორის, უქრთამოდ არაფერი კეთდებოდა მასთან. სანამ ათ-თორმეტ მღვდელს, ვაქარს, ან ვინმე ასეთ მსუქან ადამიანებს არ მიაერთმევედი, არ წავიკარებდა სიახლოვეს).

ქღვენმა მართლაც გასჭრა და ნიანგის 10 №-ში უკვე მოთავსებული იყო „ნიანგის რადიო“ — განკარგულება ნიანგის ყველა თანამშრომლებისადმი, სადაც ექსპრია:

„ბ. ოზოლს“ და ბოდიალას,

ვუთმოვბთ ბათომს ფოთიანა.

„კულა-მელას“, ღღლს და ტარზანს

ვაძლევთ გორს და გორის მაზრას.

ამის შემდეგ მუდამ ვუგზავნი ნიანგს მსუქან-მსუქან საკბილოებს, მაგრამ მისი მუცელი მაინც არ ძღვება და ახალ-ახალს თხოულობს.

ბ. ოზოლი.



— რა ვიცი, ახალ კოსტიუმში იქნებ ბურჟუაზიული პროდუქტი ვეგონო.

— პროდუქტი კი არა, ოხრახუში არ გინდა! რა დროს პროდუქტია კაცი, კაცი ბირველად მოღის! მე მაინც ვეტყვი, ნუ გეშინია.

— ვიქტორ... შენი იმედი მაქვს. იქნებ უთხრა, რომ კოსტიუმი ჩემი არ არის, სიმამრისა... დაუმატე, რომ მე ფრიად ხელმოკლედ ვცხოვრობ და წვრილშვილიც მყავს სარჩენი... იქნებ ობლიგაციაც გამაყიდინოთ...

კრება ბაიხსნა

— მაშ ასე ამხანაგებო. ჭვლიდან შეუდგეთ ახლებურათ მუშაობას, ამბობდა ახალი გამგე.

— „დიდიდან საღამომდე“—გაიფიქრეს თანამშრომლებმა.

— განსაკუთრებით უნდა ვებრძოლოთ ბიუროკრატისმს,—განაგრძო მან.

— დავიღუბე, დამითხოვს... ჩუმი დაიკვნესა კანცელიარიის გამგემ.

— ...და ხელგაშლილობას.

— გათავდა ჩემი საქმე,—ჩაიღუღუნა მნემ.

— სასტიკი ომი გაფლანგვას!

— გამსახლის სუნი მომღის,—შეწუხებით სთქვა მოლარემ.

— ბირველი საქმეა ანგარიში აქურში!

— მშვიდობით ბუღალტერივე,—გაიფიქრა ბუღალტერმა.

— და სისწრაფე მუშაობაში.

— რა ადგილი მეკარგება!—ამოიხენენა შიკრიკმა.

— ნაკლები ლაბარაკი, მეტი საქმე!

— ქე მაინც შევბუღების აღება დამესწრო,—გაუღვლა თავში იურისკონსულტს.

— საქმის წარმოება მარტივი უნდა იყოს!

— ეს მგონია მე მგულისხმობს,—გაიფიქრა ვიქტორმა,—ხვალ ჩემით მივეცემ განცხადებას დამითხოვოს.

კრება გათავდა. მაგრამ ძილი, ან მოსვენება?

კანცელიარიის გამგემ ღამე თეთრად გაათენა, მოლარეს ვაცია, ბუღალტერს ტიფის ნიშნები აღმოაჩნდა, იურისკონსულტს ყივანა ხველა დაემართა.

არქივარიუსმა—ყოფილმა ბოქაულმა მტკვრისკენ გასწია, მაგრამ...

— ეს ოხერი წყალი ძალზე ცივია,—კბილების წყარუნით უთხრა ცოლს, როცა უკანვე დაბრუნდა. — ჩავედი, მაგრამ ყინვას ვერ გაუძღულ... დათბება. აგერ და მერმეც მოვასწრებ...

რამდენიმე ხნის შემდეგ, როცა გამგე ყველა შეკრება, ვიქტორმა მასჯამბო მისი მოსვლის პირველი დღეების ამბავი...

— ვიღვიფნევი გვეგონე, შენ ნუ მომიკვდები, შენ კა ჩვენი კაცი ყოფილხარ, მიირთვი, მიირთვი—ეუბნებოდა მას ვალიკო და მამაპაპურ ყანწით ღვინოს აწოდებდა.

ადლარ-ადლარხანი.



დასურსათი სასაღილო მუში



ის იდგა დამკლავებული, როგორც ამბროსი ბერი, „ღვთისმშობლის“ ხატთან რომ გინახავთ ეპისკოპოსის ჯონივით დაყუდებული. იდგა და ელოდა. ელოდა არა „კუროსხევის“, არა „ღვთის“ რისხვას, არამედ „უბრალო ფიცრულ სკამს. სკამზე ფართოდ იჯდა სტელი მოქალაქე, რომელიც მაღიანად ილუკმებოდა მეორე კერძს.

— აჰა, გაათავებს საცაა. ადგება, დაეჯდება და აღარ ავდგები. გვამ ბორშის, თუ ხარხია, რასაკვირველია ხარხია. მოვატანიებ ღვთისმშობელს, ვხუხუბ და ვხუხუბ.. მეორეს მოტანამდე თავს შევიტყვევ სალაითით... ყურადღებასაც არ მივაქცევ იმათ, ვინც ჩემსავით ფეხზე იდგომება.

ამ ფიქრებში იყო კარბეზი, რომ მსუქანმა მოქალაქემ დესერტი დაუკვეთა ოფიციალს. კარბეზმა მწუხარე თვალი გადაავლო ოფიციალს. თითქოს ეხვეწებოდა: „შენ გენაცვალე, უარი უთხარი. უთხარი — დღეს ტკბილი არა გვაქვსო“.

ოფიციალტი წავიდა. სრული ორმოცი წუთი გავიდა და გამოჩნდა კისელით ხელში.

— მიირთვით კისელი, — მიაწოდა ოფიციალტმა მსუქან მოქალაქეს.

— შენ მოგტყდა კისერი; — ჩაილაპარაკა თავისთვის კარბეზმა და მარცხენა ფეხზე გადიტანა ტანის სიმძიმე. მსუქანმა მოქალაქემ კისელში აღმოაჩინა საეჭირო ფრინველი, რამაც დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია მაგიდაზე მოსადილეა შორის, კარბეზი მომხრე იყო, რომ მსუქან მოქალაქეს დემონსტრაციულად, პროტესტის ნიშნად დაეტოვებინა სასადილო, არ გადაეხადა კისელის ფასი და წასულიყო. კიდევ მოემზადა სკამის დასაკავებლად, მაგრამ მსუქანმა მოქალაქემ სხვა გზა აირჩია.

მან გამოიძახა ოფიციალტი, სუთმეტი წუთი ედგა იმის შესახებ, თუ მწერების რომელ ჯგუფს ეკუთვნის ის ფრთოსანი, რომელიც განისვენებდა კისელში და როცა დააჯერა, რომ ის ბზიკია და არა ფუტკარი, — გააბრუნებია კისელი და მოითხოვა კამპოტი.

კარბეზმა გადანაბა თვალები. მის სახეზე წაიკითხა-ღიღით: „ა, კაცო დაანებე თავი კამპოტს, რა იცი რა შეგხვდება შიგ“.

დიდხანს დაიგვიანა ოფიციალტმა, ბოლოს მოიტანა ამბავი, რომ კამპოტი გათავებულა. შეიძლება მხოლოდ საწამლო.

— საწინელი ცუდი საწამლოა, — ჩაილაპარაკა მსუქანი მოქალაქის გასავიწყოდ კარბეზმა.

— მოიტანეთ, — ნერვიულად დაიძახა მსუქანმა მოქალაქემ.

განვლო ათმა წუთმა. მსუქან მოქალაქეს მოუტანეს საწამლო, მაგრამ იმდენი მარცვლები იყო შიგ, რომ მოქალაქემ მათ გამოჩვენა მოანდომა დაახლოებით ნახევარი საათი.

კარბეზს ნერვიულ ნიადაგზე აუტყდა ნერწყვის ყლაპვა და სლოკინი.

ამ დროს მეზობელ მაგიდასთან კარბეზმა თვალი მოჰკრა თავისუფალ სკამს. არც არავისათვის უკითხავს გაიქცა და დაეჯდა.

ორიოდე წუთში მსუქანი მოქალაქეც ადგა და დასცალა სკამი, რომელიც თვალის დახამამებაში გააქრო ახლად მოსულმა მოსადილემ.

კარბეზი ჯერ კიდევ კარგად არ იყო მოთავსებული მაგიდასთან, როცა მოადგა მოქალაქე და თავაწიანად სთხოვა: „თუ შეიძლება ეს ჩემი ადგილია და დამითმეთ, გამოირკვა, რომ ჯერ შუა-ჭამაში იყო მოქალაქე.“

მეტე გზა არ იყო, კარბეზი უნდა ამდაროყო. ადგა კიდევ, მაგრამ უნდა გენახათ იმის სახე. მისი სახის ყოველი ნაკვეთი გამოხატავდა სასტიკ პროტესტს.

მე რომ გამოვედი სასადილოდან კარბეზი ისევ იმ პოზაში დაეტოვებოდა აყუდებული ვიღაც მოსადილის სკამის მახლობლად. სევეირ-ბენ-შეის.

„იღმერთობიური“ შესწორება

კვიროსი ოჩხამურელი (ასეთია მისი ფხვედონიმი პაროზაში, პოეზიაში კი აკვირინეს-შეილი“) მაგიდას უწის და ოფლში იწურება, რომ იდეოლოგიურად მისაღებია განადონ თავისი შრავალტანჯული მოთხრობა, რომლის სიღრმეს ვერ ჩახსწვდნენ თანამედროვე კრიტიკოსები.

...ლაშა, სოფელი ძიღის მისცემია, აქა-იქ სარკმელიდან მოსჩანს მკრთალი სანთელი... კითხულობს თავის მოთხრობას კვიროსი.

— არ ვარგა, არ არის იდეოლოგიურად სწორი, ძიღი არ შეეფერება თანამედროვე ტემპებს.

„ლაშა, მაგრამ სოფელს მაინც ღვიძავს, ყოველ სარკმელიდან ბრჭყვინავს წაშისის კაშკაშა ელნათური“.

— ეხლა გავყვით ქვევით, — სიამოვნებით ჩაახველა კვიროსი და განაგრძო.

... „მარო წევს სუფთად გაშლილ ხარეცელზე. ათასფერად აქარგულ საბანში გამოქანდაკებული მისი სათუთი სხეული ირხევა ქავლივით“.

— არა, უნდა შეიცვალოს.

... მარო წევს გამურულ ღოგინზე, ათას ადგილას დაკერებულ საბანში გაბანდული მისი ვეკაცური სხეული ისე ბორცავს, როგორც ტრაქტორი მინდორზე“.

... „მაროს მიეძინა. ირგვლივ სიწყნარეა... აქა-იქ მოხმის ძაღლების ყეფა.“

— არ ვარგა, უნდა შესწორდეს.

... „მარო არ ეძინება... ირგვლივ ხმაურია, ტყველგან მოხმის ავტოს გუგუნია...“

— მისწრება, გენიოსი ვარ პროლეტარული.

... „მამლის ყვილი მაროს ისე ჩაესმა ძიღში, როგორც შორეული წარის რევა“.

— არ ვარგა.

... „ქარხნის საყვირის ხმა მაროს ისე ჩაესმა ძიღში, როგორც გრდემლზე ჩაქუჩის ძარღვიანი დარტყმა“ — ასე ნამდვილი რევოლუციონერი, — კმაყოფილებით სთქვა ოჩხამურელმა და განაგრძო.

... „ა დროს რეზო აწყობდა საწინელ გეგმას, ემზადებოდა შურის საძიებლად, მას გუშინდელი სტენა მაროსთან არ ასვენებდა“.

— არ ვარგა.

... „ამ დროს რეზო აწყობდა კრებას. ემზადებოდა მოხსენებისათვის. მას გუშინდელი თეორიული დავა მაროსთან კიდევ არ დავიწყებოდა“ — კარგია!

... „მამ უნდა ვითმინო, — მაროს არ ვაბაძებ ახურად ადგებას, მან მილაობა, მაგრამ გაუსწორდები, — ლაპარაკობდა ათვისთვის რეზო“.

ასეთი რამე ყოველად შეუძლებელია. სულ უნდა შეიცვალოს, სთქვა კვიროსი და შესცვალა.

... „ამხანაგებო, მომხმინეთ, გთხოვთ დაიცვათ წესრიგი, მოლაღატებები და კონტრარევოლუციონერები ჩვენ გვიპირებენ და მხოლოდ, მაგრამ ჩვენ მათ გაუსწორდებით — დაიწყეთ მოხსენება რეზომ“.

— კი, ყველაფერი ეს კარგი, მაგრამ ეხლა როგორ გადავაბო ერთმანეთს რეზო და მარო, — ჩავარდა საგონებელში მწერალი.

გადავიკითხოთ თავიდან, რა გამოვიდეს ვნახოთ, — სთქვა ოჩხამურელმა და გადაიკითხა.

— აქი არ ეძინა, როგორ ჩაესმა ძიღში, თუ არ ეძინა? არა, უნდა დავაძინო, მეტი გზა არ არის! შეიტანა შესწორება კვიროსიმ და განაგრძო კითხვა...

... „ამ დროს რეზო განაგრძობდა კრებას“.

— მარო დავაძინე, ამ რეზოს რაღა ვუყუო? ის კრებას აწყობს, მაროს სძინავს, თავი და თავი მაროს და რეზოს დაკავშირება ერთმანეთთან. არა, მარო ისევ უნდა გავადვიო, თუ დავაძინო? რომელი გამოვალივით, — სთქვა ოჩხამურელმა და კვლავ ჩაფიქრდა.

ეს საკითხი გადასტრა კვიროსის მიმეგ სვინვამ. სევეირ-ბენ-შეის.

შ ე ს ვ ე ღ რ ა

ენახე მოყმე სოფლის ბოლ ოს ჯდა მტირალი წყლისა პირსა, ჭმუნვის ალი გადაპკოროდა მის დ აორევილ ცხვირს და პირსა, უძიეილო ბუტბუტუნდა, გონობ და რაღაც გასაჭირსა და მომინდა მისი ცნობა ვინ არის და ან რად სტირსა.



ვუთხარ: „ხომ ხედავ ძველ სოფელს სიკვდილი გადაპკილია. მის მესაფლავეს, კოლექტორს გაუდგამს გზა და ხილია. თესვენ თვალუწვდენ ველ-მინდვრებს, აოთა წარმოებს დილია, აქ რასა აქნენ? შენ განა ყველ ა ეს ფეხზე გკიდია?“

მითხრა: „ჰაი, რომ გაეჭრი ღვარ კოლექტივებს შიშითა, ჩვენ, კულაკები, ჩვენ საქმეს არასდროს არ დავიშლითა, ისე მიგვიღოს მიწამან, როგორცა წარმოვიშეთა, „არ გათეთრდება“ ყორანი, რაც უნდა ხეზო ქვიშითა!“

ხელი ვკარ, იქით გავაგლე ახალი ქვეყნის მტირია. შევეყვლე: „დიად ქიდილში დაგფერთხავთ ვითა მტვერია. თქვენი უმსგავსო საქმენი მოკლეა, მით ოხერია. ჩარჩს კოლექტივი რად უნდა, ახუ რა მისი ფერია!“

ტოკსინი.

ქ ა რ ი ს ა რ ი კ ე ს თ ა ნ

— როგორ დამემაწა სახე! სადღა ვარ ის, რომელიც წინად ვიყავი? ეს სულ ამ უკუღმართი დროების ბრალია.—მზობდა სარკის წინ ქალი და შექაღირებულ თემს იფარცხნიდა. ამ დროს მოისმა დიღინ.

როდესაც ჩემს წინ სუფრანზე, ცხელი შუშუნა მწვადია, მაშინ მე სამშობლოსათვის ყოველი კარგი მწვადია.

ქალი სარკესთან შეჭრია, შემოტრიალდა და გაჯავრებულმა წამოიძახა:

— უსინდისო, კიდევ მთვრალია! ოთახში შემოვიდა შუა ხნის კაცი. იგაფხზე ძლივს იღვა. ქალი სარკეს მოსცილდა და მთვრალს აწეული ტონით შეუტრია:

— სირცხვილია, სანდრო! მთვრალმა ხელები გადაშალა და შემოსძახა:

მაშინ მე ჩემი სონასთვის ყოველი კარგი მწვადია.

— ჩემად შე ლოთო, შენა!—ისევ შეუტრია ცოლმა.

მთვრალი სიბრაზით აენთო. ქალს ცხვირს წინ აეტუნა და მრისხანედ შეხედა.

— ვინ უბედავ თუ იცი? ქალი უცხად შეიცვალა, ქმარს გულზე მიეყრდნო და ქვითინით უთხრა.

— სანდრო, რატომ თერები, გენაცვალოს ჩემი თავი?

— გოვრები და დავთრები კიდევ. უარესად დაეთვრები.

— სადილის ფული არა გეაქვს და შენ კი...

— იმიტომ გოვრები, რომ პროტესტს ვაცადებ.

— ვის უცხადებ პროტესტს?

— ვის უცხადებ და... სიტყვა ყელში გაეჩხრა და კბილების ღრუენა დაიწყო.

— ვის უცხადებ?—გამოვიდა მოთმინებიდან ქალი.

— ვის და, დღევანდელ მთავრობას, —

წაილულულდა მთვრალმა და მოწყვეტით ლოგინში ჩაწვა.

— დღეს სადილი არა გვაქვს.—იყო ცოლის პირველი გამოლაპარაკება, როცა სანდრომ მეორე დღით გამოიღვიძა.

— სად არის ჩემი პალტო?

— რად გინდა?

— წავიღებ ბაზარში, გაეყიდი.

— ხანთარში რას ჩაიცივას.

— ხანთარში რაღაც იქნება.

„რადღაც“ ქალს იმედი შთაბერა. სასწრაფოდ გამოიტანა პალტო, ჩაუღო კალათში და ქმარი ბაზრისაკენ გაისტუმრა. ისევ სარკის წინ ვაჩერდა „რადღაც“ მოლოდინში.

კეკლუცობა დაიწყო, თუმცაღა ნაღვლიანი, მაგრამ საქმიოდ ლამაზი, წკრიალა ხმით შემოსძახა:

„იუ ხარ საქართველოს შვილი ნე მომაკლებ მაგ ტკბილ ხმისა“.

— აქ საკოლმეურნეო ბაზარია. თქვენ გადამყიდველებმა იქით, ვაქის სასაფლაოსაკენს—უთხრა მილიციონერმა სანდროს და სასაფლაოსაკენ მიუთითა.

— საკოლმეურნეო! რა მეზარება ამ სიტყვის გაგონება.—ჩაილაპარაკა სანდრომ და ნაჩვენებ ადგილისაკენ გაუდგა.

— სანდროს გამარჯობა! ბატონ სანდროს გაუმარჯვოს.—ესალმებოდნენ სანდროს ვაქის გადამყიდველები.

— ეე, როგორ წახდა დრო, ბატონო სანდრო.—დანახვისთანავე მიიძახა ერთმა მოხუცებულმა, რომელსაც გასაყიდათ ჭურჭელი გამოეტანა (ეტყობოდა—ყოფილ წარჩინებულთა და დარბაისელთა კრებულიდან იყო).

— ქალბატონ ნუცას სიცოცხლე და კარგად ყოფნა.—უთხრა სანდრომ და ქალს გამოწვილ ხელზე ეაბოირა.

— რად მინდა სიცოცხლე, ამ დანგრეულ დროებაში. სადღა არის კარგად ყოფნა? სამი დღეა ამ ბაზარზე ასეთი ძვირფასი ნი-

ვთები ვერ გამოიყენებ.—და სანდროს ლორწეტი და პატარა თეატრალური ღურბინი აჩვენა.

— დიდ გლახა დროში ვართ, ქალბატონო ნუცა.—დაუდასტურა სანდრომ. ქალი წათამამდა და კიდევ შესჩივლა:

— ახლანდელ თეატრებში კეთილშობილი და წარჩინებულნი აღარ დადიან, ვის უნდა ჩემი ღურბინი. მაგრამ...

ქალი დაიხინჩა და ხელში თეთრი ძაღლი აიყვანა.

— ჩემი ვეკი... ჩემი საწყალი ვეკი. ვეკი და არავინ ყიდულობს!

— ჩემი რომ იყო ბირადაპირ ტორგისინში წაგეყვანდი!—დასცინა ერთმა.

— ერთ შეილად დირს.—დაუშატა მეორემ. სანდრომ უხერხულობა იკრძო და ქალს გაშორდა.

— მამულიშვილო. ჩამომისხი ექვსი ჩაიხუდა. მეგობრებს სასაფლაოს ლოდზე „სუფრა“ გავშალათ და დღეინოს შეეტკეოდნენ.

— დამისხით. ჩაკლა დარდები ღვინოში.

სანდრომ ქიქას ქიქები მიაყოლა. მოკვიფენი მალე დაიფერა.

— მამულიშვილო. ჩამომისხი ექვსი ჩაიჩქა.—გაცა განკარგულება სანდრომ.

— ფული.—შეეკითხა გადამყიდველი.

— ჰა.—და პალტო გადაუგდო.

„საქართველო... ტურთა მზარე... ერეკლე მეფის ღირსეული ხმალი... კრწანისის ველი“...—დაამთავრეს სადღევრძელოები მოკვიფეებმა და დაიშალენ.

— „რადღაც“ მოლოდინში ქალი სარკის წინ იდგა და კეკლუცობდა:

„დამისხით და მალევეინეთ, ეგ ღვინო ოხერ ტიალი, იქნებოს წაღმა ვიფიქრო ქვეყნის უკულმა ტრიალი“.

შემომიღერა სანდრომ და მოწყვეტით ლოგინზე დაეშვა.

ტოკსინი.



„რ ა ტ ი მ ნ ა ლ ი ზ ა ტ მ რ ი“

არტემი ერთ-ერთი განყოფილების გამგე იყო.

მას ზედმეტ სახელად თანამშრომლები ფოცხვერადეს ეძახდნენ (რასაკვირველია პირს უკან, თორემ აშკარად ვინ გაუბედავდა).

ფოცხვერადე მართლაც, რომ ზედგამოჭრილი სახელი იყო არტემისათვის, რადგან უღვაშები მართლაც ფოცხვერს უგავდა. ბევრმა ურჩია მოეპარსა უღვაშები, მაგრამ წინააღმდეგი იყო. — „რა გინდათ, კომუნისტების ჯინაზე არ ვიპარცავო“ — იტყოდა ხოლმე ფოცხვერადე; — ნიკოლოზის დროის ეს ერთი დიდება და შემოჩენია და როგორ შეველევიო“).

მაგრამ არტემს სხვა „ღირსებაც“ შერჩენოდა—ბიუროკრატიაში. მისი კაბინეტის კარებზე დიდი ასოებით ეწერა „დაუთხოვავთ შემოსვლა აკრძალულია“. შიგ კაბინეტში კედლები წარწერით აკრეფებული ჰქონდა. „ხმა-მალლა ნუ ლაპარაკობთ“. „განცხადება დატოვე და უსიტყვოთ გადი“ და სხვა.

თანამშრომლის ყოველ მაგიდაზე ელექტრო-ზარი ჰქონდა გაყვანილი, თანამშრომლები ისე ყავდა დაშინებული, რომ თითო ზარის ხმაზე ყველა ერთბაშად და გიჟივით წამოხტებოდნენ ზეზე. (ორ თანამშრომელს ამ ნიადაგზე გულის სიგანივრეც კი გაუჩნდა).

მართალია გაზეთებს წინადა არ კითხულობდა, მაგრამ რაც წმენდა გამოცხადდა, სისტემატიურად დაიწყო გაზეთების კითხვა.

— ბოშო, კარგი არ გქენი პარტიაში რომ არ შევედი, თორემ ახლა ისე გამაგდებდნენ, როგორც ბორჯომის ბოთლიდან პრობკას.—უთხრა არტემმა ცოლს.

— ჩაყვი მაგ გაზეთს ქვევით და ნახავ, როგორ გადარჩები.—„ღამშვიდა“ ცოლმა.

არტემიც ასე მოიქცა.

„საბჭოთა აპარატი უნდა გაიწმინდოს ნიკოლოზის ყოფილ მოხელეების, ბიუროკრატების, საქმის გამჭიანურებელთაგან“—ამოიკითხა გაზეთში ფოცხვერადემ.

გაზეთი შორს გადისროლა, შუბლზე თითი მიიღვა.



რალაც გაიფიქრა.—არა გარეგნულად ცოტათი მაინც უნდა გამოვიცვალო, გავრახმალეხული „ვარატნიკი“ კისრიდან მოიძრო, წამოხტა ზეზე და გაიქცა.

— შენ გენაცვალე ჩქარა მომავლორ ეს უღვაშები —უთხრა არტემმა პარიკმახერს.

— რათა, აკი შენ ძლიერ გიყვარდა ეს ძველი „დიდება“—ნახევრად ირონიით შეეკითხა პარიკმახერი.

— ზაფხულია, რა საჭიროა, ზედმეტია, სიცხე მომცა.

სულ სხვა არტემი გამოცხადდა სამსახურში მეორე დღეს.

— არტემ ივანიჩ, პირდაპირ მსახიობს გავხართ, თქვენი სახე გამოჭრილი მარმარილოა, თვალები უუუუნა—მიუქათინაურა შემანქანემ.

— აბა, ჩემო კარგებო—მიმართა არტემმა თანამშრომლებს, მუშაობის რაციონალიზაციის მიზნით ჩვენი დეკორაცია უნდა შევცვალოთ, შენ ამხანაგო დარაჯო, მოხსენი კარებზე წარწერა, შენი სკამი შემოიტანე და შიგ დაჯექი. ზარები არ არის საჭირო. ლენინის სურათი გამოიტანეთ მეორე ოთახიდან და ჩემს მაგიდასთან ჩამოკიდეთ. ასე, ამრიგად შეგობრული მუშაობით წავსწოთ წინ საბჭოთა ქვეყნის საქმე.—უთხნებოდა თანამშრომლებს ტკბილი და გემრიელი სიტყვით.

კაბინეტში ძველი წარწერები ჩამოიღო და ახალი გააკრა: „სახსტიკი ბრძოლა ბიუროკრატიაში“, „ილაპარაკე თავისუფლად და დაწვრილებით“, „თავმჯდომარის ნახვა შეიძლება მ საათ. საღამოს 8 საათამდე“ და სხვა.

თანამშრომლების სინარულს საზღვარი აღარ ჰქონდა. იქნება ესლა მაინც ველირსოთ შევებულბასო.

— შევებულება გავანაწილოთ?—დრო იხელთა და შეეკითხა საქმეთა მმართველი.

— უსათუოდ, მართალია, ორი კვირის ერგებათ, მაგრამ წელს თითო თვისას ვაძლევ, ეს გადაეცი თანამშრომლებს. მხოლოდ ისე მოაწყვე საქმე, რომ ილიკო პეტრე და ლუკა ამ თვის დამლევი გაუშვი სამივე ერთად. სხვა თუ რომელიმე არის კიდევ შემჩნეული მუშაკრობაში, ან კავალერისტობაში, ისინიც შეარჩიე და ეხლავე მიეცი შევებულება, ხომ იცი წმენდა იწყება, მოვიშოროთ ისინი თავიდან და თუ ჩემ წმენდას დაესწრენ დავილუპები კაცი. ივანიკა.

ფარილი ს-ტრფოს

გამარჯობა ნიფადორ! ნიუჟელი ერთი წერილი ვერ მომწერე აქამდე! მე შენ გითხრა წერა არ იცი და ვერ ჩააკვარცვალე ასოებს? ვაი შენს პოჩერკს და ენას დაენაცვლოს ჩემი თავი! რეიზა მკლავ გენაცვალე,

რეიზა გამათავე კაცი? მაინც ამისთანა დაწვა შეიძლება შე ქალო? რომ დამდე ტაფაზე და მხრაკაე უქონოთ. რეიზა არ გებრალეხა შენი სევასტია! ბოლოს ხომ მაინც ჩემი შეიქნები, არ უნდა ამას გოგის ლაპორტი, თუ კი დამადნობ ახლავე და დამხრაკაე, მერე რალა ეშმაკად გინდებვარ, გამხმარი და სიქა გამოლუქული! თუ მინდა-მაინც გინდა ჩემი სიკედლილი, რალა უქონოთ მხრაკაე, შე ქალო, პატარა ქონი მაინც დაადევი დასაბოლოოდ მომკალი ქე მაინც აღარ დავებებ!

იმასოლი: „კომუნისტი არა ხარო და უბრალო, პრასტიო მოქალაქეს არ წავეყვებო“... მართალია, მარშან მდლოიზეს უარი, მარა ახლა მაინც მაინც აღარაფერი ვადუღება წინ ჩემს პარტიულობას, იმისთანა ვანცხადება მი-

ვეცი. მე შენ გითხრა ბიჭათ ბიქს დამიწუნებენ და არ მიიძლინ! გულბოყში მოყვანილი ძალიან ვარ, ცეკვა ვარგი ვიცი და სიმღერა, ტოლუბაშობაზე წავა საქმე და ორას კაცს ისე უტოლუბაშებ და მივაძინებ სტოლზე, რომ უკან არ მოვიხედავ. თუ გუწყრა ღმერთი და ჩხუბი ქნა ვინმემ კამპანიაში იცოცხლოს სიკატია მე იმასამ გამტკრიო ღრანჯები. ერთი ხუთმეტი კაცი რომ არ გაუგზავნო სკორი პომონს მაშინ მოკვდეს სევასტი.

აბა ჩემო სულის ხოხობო, შენ დაგენაცვლოს ჩემი სიკოცლო, აკი ჩემი აშავი დაწვრილებით სულ ტონტოჩ დლუკავე ჩემს სპიიდეროს და გოუხარდება ჩემი კაი. შენც ქე მიაფურთხე ქირიმე ეშმაკს და გადაწყვიტე ჩემი გაყოლა. ეილე ჩაპოჩერკე გემოზე ერთი ფურცელი წერილი, დღლიზე ორშაურიანი მარკა და ჩოუშვი ფოსტის ყუთში. მეც მანამდე შევიკერავ გემოზე გამოკვარახტინებულ წულა-მესტს, თინთიკის ჩონა-ახალუხს, დევიკიდებ აქეთ იქით ლივერს, მოვნიკავ ამ დაცვიენილ შევეროს პორთფელეს დევიკიდებ წინ და უკან, ზევით-ქვევით და გესტუმრები სოფელში, ჩემო იაღონო და ვიფსკენათ გვირგვინი. ვოგია.

გ ა უ გ ე ბ რ ო ბ ა

— დასწყევლოს ალანმა
აბლანდელი რედაქციები. თუ
ვინმე დიდი პროტექტორი
არა გყავს, ან თვითონ რედა-
ქტორი თუ არ არის შენი ნა-
ცნობი, არაფერს არ დაგიბე-
ჭდავენ, თუნდა გენიოსური
ნაწარმოებიც მიუტანო, მა-
ინც უსირცხლოთ „გებრაკა-
ვენ“! — მითხრა ამ დღებში
ერთმა ჩემმა ნაცნობმა, რო-
მელსაც თავი გენიოს პოე-
ტად მოაქვს და რომლის ნა-
თესავებიც დარწმუნებული არიან მის გენიოსობაში.



— ამას წინად ერთი ლექსი დავწერე — განაგრობ
მან: — მივედი რედაქციაში და წავიკითხე:
აღმოსავლეთით მზე ამოვიდა
და გაანათა ქვეყანა ბნელი,
ოკრიბის მაღალ მთებსა და სერებს
ზედ გადაჰფინა ოქროს ნათელი.
ლექსი მაშინვე რედაქციაში გავა ქროლე.
— კარგად იწყება, მაგრამ ვერ მოვათავსებთ, რად-
გან იდეოლოგიურად მიუღებელიაო — მითხრა კატეგო-
რიული ტონით რედაქტორმა.

— რატომ უნდა იყოს იდეოლოგიურად მიუღებე-
ლი? — ვერ გამიგია. გადავჩხრიკე თვითელი სიტყვა
და „ოქროს ნათელზე“ შევიჩერდი. ალბად „ოქროს ნა-
თელი“ ან სიტყვა „ოქროს“ მიუღებელი, მაგრამ რა სა-
ბუთით? ახლა ხომ ფულადი სახსრების დაგროვების კამ-
პანია მიმდინარეობს და რატომ უნდა იყოს ეს სიტყვა
მიუღებელი? ბედს დავმორჩილდი და ისევ ახალი ლექ-
სი მივეუტანე, რომელიც ასე იწყებოდა:

მზე ამოვიდა როგორც ნამგალი
და ცას გაეკრა როგორც ჩაქუჩი,
დედამიწაზე სხივი მოჰფინა
და გაიფანტა ღრუბელი ცაზე,

— ეს კი თქვენი საკუთარი შემოქმედებაა. წინსვლა
გეტყობათ, მაგრამ მაინც ვერ მოვათავსებთ, რითმები
არა აქვს. — მითხრეს რედაქციაში.

მაინც წაეხალისდი და იგივე ლექსი მთელი კვირის
განმავლობაში იამუშავე. ვეძებდი რითმებს, ვეძებდი და
ვიზებებოდი, რომ არ დამეიწყებოდა:

ნამგალი,
ანგალი,
ჩანგალი
მამკალი,
ფარგალი,
ბარკალი

ჩარგალი (და სხვა).

შემდეგ ისევ რედაქციაში წაულე და წავიკითხე:
მზე ამოვიდა, როგორც ნამგალი,
და ცას გაეკრა როგორც ჩაქუჩი,
ჩემო ლამაზო რატომ მამკალი
შევარცხვინე შენი პოვედენია.

— „პოვედენია“ რუსიციზმია და, გარდა ამისა,
მაინც ვერ არის კიდევ გამართული: დაბოლოება არ

ეთანხმება: აბა სადაური რითმაა: — ჩაქუჩი პოვედენია. —
მითხრა რედაქციის მდივანმა.

ისევ გავასწორე და უკანასკნელი ვარიანტი ასეთი
გამოვიდა:

მზე ამოვიდა, როგორც ნამგალი,
და ცას გაეკრა როგორც ჩაქუჩი,
ჩემო ლამაზო, რატომ მამკალი
მე შენს სიყვარულს ველარ ვადურჩი.

როგორ მოგწონს ამხანავო? ახლა ხომ დახვეწილია.
ამისთანა ლექსი ორი არ დაიწერება საქართველოში...
მაგრამ მაინც არ დამიბეჭდეს... „ინდივიდუალური გან-
ცდა გამოხატული და არ გამოდგება“.

კიდევ მაქვს ახალი ლექსი, რომელიც შედეგია —
ნამღვილი შედეგია, მაგრამ ვინ გიფასებს... ისიც ასე
იწყება:

ტოროლას მაინც არ მოვკლავ
ბევრიც რომ მქონდეს საფანტი,
თავში რითმები მიწყვი
მარგალიტებად ნაფანტი:

მინდა რედაქციაში წავიღო, მაგრამ არ დამიბეჭდა-
ვენ „პაციფიზმის ქადაგებააო“, — მეტყვიან ალბად პირ-
ველი სტრიქონის წაკითხვისთანავე. შევარცხვინე ამის-
თანა დროება.

მედუზა.

სად მიდიოდა

პეტრემ აიღო პატარა ბოხჩა
(წყვილი საცვლით და ქონის საპონით)
და სანამ ოთახს გაშორდებოდა
პათეტიურით დაიწყო ტონით;
— მშვიდობით, ჩემო ცოლო და შვილო,
მერი, ქეთინო, პელო და თინა,
ოთარიკო და მაკო, ნინიკო: —
იქნებ ვერ მნახოთ ცოცხალი შინა...
იქნებ წავიქცე რიგში დგომის დროს
და განუტევო უმანკო სული,
იქნება ტყავი ტანზე გადამიძვრეს
ვერ მომამბრუნონ გრძნობა წასული;
იქნება ჭირმა დ ფათერაკმა
ან სხვა რამ სენმა შემომპყროს ხელად
და საიქიოს გადამასახლოს,
მზე შემიცვალოს ნათელი ბნელად;
იქნება წერას აუტანივარ,
რომ ასე უნდოთ გაეწიროთ თავი,
იქნება კვალიც ვერ ნახოთ ჩემი,
ვერ ნახოთ ჩემი კუბო — საფლავი...
და ამ სიტყვებზე პეტრეს თვალს უცებ
გადმოედინა ცრემლის ჩანჩქერი: —
ატირდა ცოლი, ატირდა შვილი
და მეც ავტირდი იმათი ცქერით.
იქნებ იკითხოთ — სად მიდიოდა
პეტრე რა მხარეს, ან რომელ ომში?
ომში კი არა, ტანის საბანად
ეშურებოდა ის აბანოში!..

მედუზა.



„დილის ექვსი საათი შესრულდა თუ არა, იმ სასტუმროს წინ, რომელშიაც მე წინა-ღამეს ჩამოვხტი“ (ილია), — მოადგა რამდენიმე. დანჯღრეული დროგები.

„ეს იყო ვლადიკავკასში“.

(ილია).

აგილე ჩემი ხურჯინი, ანგარიში გავუსწორე მასპინძელს და გამოვემშვიდობე.

გებს, შემდეგ — ცხენებს და მეჯერ ავბედ-დავხედე დროგებს.

სწორედ ისეთივე ეტლი ჰუნდა მეშოვნა, როგორც ილიამ იმოგზაურა აქედან ტფილისამდე.

ჰო, კინალამ დამავიწყდა: როცა ვლადიკავკასში ჩამოვედი, მოვიკითხე ის „სქელ-კისერა იამშჩიკი“, რომელიც ილიამ დაიჭირა, მაგრამ გამოირკვა, რომ მომკვდარიყო. (მინდოდა ისევე იგი დამეჭირავევია).

მომეწონა ერთი მედროგე, სწორედ ილიას „სქელ-კისერა იამშჩიკს“ ჰგავდა, მაგრამ მისი ფურგონი და ცხენები კარგი იყო. ამიტომ ცხენები და ფურგონი დავიწუნე. მოლაპარაკება გავმართე მედროგებთან და შევუნაცვლე მოწონებულ მედროგეს მოწონებული სხვისი დროგი და ცხენები. როცა ავბედ-დავხედე ეტლს, სწორედ ილიას „პოვოსკა“ დამიღდა თვალებში.

ის იყო დავაბრე ერლში ჩაჯდომა და ტფილისისკენ გამომგზავრება, რომ ვილაცამ მომაქანა:

— სალამი დიდებულ ლევარსი!

ჩემს წინ ტფილისელი ნაცნობი შოფერი იდგ.

— სად მიბრძანდებით ამ საშინელი დროგით? — შემეკითხა იგი.

— ტფილისისკენ!

— ავტოთი წამობრძანდით, დიდად მასია მოვინებთ, ტრესტის დირექტორი ჩამოვიყვანე და უკან ცარიელი ვბრუნდები! — შემომთავაზა მუქთად მთელი ავტო.

— არა, ჩემო კარგო, მე ამ ეტლით მიჩვევია. მინდა ბუნებას ვადავხედო, რომელიც ილიას აქვს დაწერილი თავის წერილში „ვლადიკავკასიდან ტფილისამდე“.

— ავტოდან ხომ უმჯობესია ბუნების დათვალიერება!

— არა, ჩემო მეგობარო, სწორედ ისეთივე პირობებში უნდა დავათვალიერო და განვიცადო, როგორშიაც ილია ბრძანდებოდა. ეტლიც საგანგებოდ შევარჩე ასეთი, ილიას ეტლს მაგონებს.

— თუ კი ტფილისიდან აქეთ ავტოთი იმგზავრეთ სამხედრო გზით, ახლა რა დააშავა ავტომ?

— ტფილისიდან ავტოთი არ მიმგზავრია.

— როგორ არა! აკი მცხეთის მახლობლად გნახეთ თვალახვეული იჯექით ავტოში და აქეთკენ მოემგზავრებოდით.

— აზრი შევიცვალე და უკან გაებრუნდი.

— რატომ?

— იმიტომ, რომ ილიამ ვლადიკავკასიდან ტფილისამდე იმოგზაურა და არა ტფილისიდან ვლადიკავკასამდე. ეს არის მთავარი.

თვალახვეული რატომ იყავით?

— რომ არ შემეხედა ბუნებისთვის და ამით ვლადიკავკასიდან დაბრუნებულს არ მიმელო გაორებული შთაბეჭდილება.

მოგეხსენებათ, რომ სხვადასხვა კუთხიდან საგანი სხვადასხვანაირად მოჩანს. სწორედ ამიტომ მცხეთიდან და ვამჯობინე აქ ჩამოსვლა რკინის გზით ბაქო-ბალაჯარისა და კავკასიონის ქედის შემოვლით.

— როდის ჩამობრძანდით?

— გუშინ დილით.

— ღამე სად ვაითიეთ?

— ამ სასტუმროში, სადაც 1861 წელს ილიამ გაითია ღამე. იმ ლოგინზე შეინა, რომელზედაც ილიას ეძინა.

— რა იცით, რომ ის იყო.

— როგორ არ ვიცი ფული ვაჩუქე მსახურს ვსთხოვე და საიდანღაც ის ლოგინი მოიტანა. ვერ წარმოვიგენთ, რა ტკბილად მეძინა. მთელი ღამის განმავლობაში თავს მაღა ილიას შარავანდელი.

— თქვენ არაჩვეულებრივი აღამიანი ბრძანდებით, დიდებულ ლევარსი, მაგრამ მაინც მიკვირს — რად დაგვირდათ თავის ასეთი შეწუხება?

— ერთხელ პოეტმა ნიკოლოზ ბარათაშვილი ვაგვიკრიტიკე, რომ იგი ტყუოდა, როცა წერდა:

„ნელა მოლელავს მოდუღუნე მტკვარი ანკარა“.

ამის შესამოწმებლად დავადექი ტფილისიდან მტკვარს და სულ სათავეში ავედი ფეხდაფეხ, მაგრამ ვერსად ვნახე, რომ „მტკვარი ანკარა“ ყოფილიყო.

როცა ილია ჭაგვავადის „ვლადიკავკასიდან ტფილისამდე“ წავიკითხე, ვადავწყვიტე წერილის ადგილობრივად შემოწმება, რომ ამით გამეგო მწერლის კეთილსინდისიერება და ნიჭი.

ყველა ხალი კრიტიკოსი, ყველა ვისაც უნდა მწერლის შესწავლა, ასე უნდა მოიქცეს.

აი, რა არის ჩემი მიზანი, რომ ასეთი ეტლით მივემგზავრები ვლადიკავკასიდან ტფილისამდე. ვუთხარი ეს და გამოვემშვიდობე ჩემს ნაცნობ შოფერს.

ილიასავით ჩავეგექი ეტლში.

„იამშჩიკმა ერთი შემომიბღვირა, მერე აკრიბა სადავები, „მწუო, მწუო“ დაუწარუწუნა მქლე ცხენებს და მოუღერა შოლტი. ცხენებმა ყურიც არ შეიბერტყეს. — დაუყვრა კიდე, აიჭივა სადავენი და ფეხებით ტყაბუნი დაიწყო. შენც არ მომიკვდე, ცხენებმა ფეხი არ შესძრეს. ამ ყოფას ის ჩემი ნაცნობი უყურებდა და სიცილით კვდებოდა... თუმცა მე სასიხარულო არა მჭირდა-რა, მაგრამ მეც გამეცინა, „იამშჩიკმა“ თვალები ჩემსკენ მწყობრად მოიბრუნა და ბღვერა დამიწყო. მერმე ისევე ცხენისკენ მოიგრიბა სქელი კისერი და ორიოდვე შოლტი გადაუჭირა. ცხენებმა შეიტყვეს. რა რომ მეტი გზა არ არის, დაიძრეს როგორც იყო ადგო-

*) ეს ჩემი წერილი. დაწერილია, სანამ ვლადიკავკასს ორჯონიკიძე დაერქმეოდა. (ვლადი-ფლობდე, ბატონობდე კავკასიასო. ახლა ორჯონიკიძის სახელწოდებას ატარებს. ასე იცის ასტორიამ. ლ. რ.



ლიდან და ძუნძულით ვასწიებს. დანჯირულმა ზარმა დაიწყო თავისი უგემური ჟღარა-ელური, პოვოსკამ ქვე-სზე ბტომბადა მე ლაყლაყი ხან აქეთ და ხან იქით“ (ილია).

ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონია, რომ ჩემი მგზავრობის საქმე ასე კარგად მოეწყო—იგი ილია ჭავჭავაძის მგზავრობის ასლური განმეორება იყო.

II

„ამ ყოფით განუწორდი ვლადიკავკასს და პირი ჩემი ქვეყნისკენ ვქენი“ (ილია).

თერგის ხიდი გამოვიარე. თერგის შესახებ კი მარ-თალს ამბობს ბარათაშვილი.

„თერგი ჰარბის, თერგი ჯრიალებს.

კლდენი ბანს ეუბნებიან“

აღბად ილია ამ ტალღებს უცქერდა; აღბად თერ-გი მაშინაც ასე ღრიალებდა. აი იგერ ის კლდეები, რომ-ლებსაც ილია უცქერდა, როცა აქ ჩამოიარა.

„სალამოს სტეფანწმინდას ამოვედი. მშვენიერი სა-ლამო იყო, ასე რომ იმ დამეს იქ დავჩი, რათა თვალი გამეძლო მშვენიერი სანახავების ხილვითა. ოხ, საქართ-ველოვ!“ (ილია).

„სხვა საქართველო სად არის

რომელი კუთხე ქვეყნისა?“

„ოთახიდან გარედ გამოვედი და შევხედე სტეფან-წმინდის პირდაპირ აყუდებულ მყინვარს“ (ილია).

ვუცქერი მყინვარს სწორედ იმ ადგილიდან, საიდა-ნაც ილია უცქერდა. ვუცქერი და ვეთანხმები ილიას, რომ „დიდებული რამ არის ეს მყინვარი“; მაგრამ არ ვეთანხმები იმაში, რომ „მყინვარი საკვირველია და არა შესაყარებელი“.

III

„ჩამოლამდა. თერგისა და მყინვარის ყურებაში დრო ისე გამეპარა, რომ თითქმის ვერ შევიტყვი—მზე ბოჯო— მიეფარა მთებს“ (ილია).

ჩემსავით უცქერდა ილია იმ ჩამავალ მზეს. ახლაც ისევე ის მზეა. ახლა ილიას ნაცვლად მე ვუცქერი მზეს. მე არ ვიჭნები, სხვა იჭნება და ის სხვა უყურებს ამ მზის ამოსვლასა და ჩასვლას!

ფასახაურში მეც ილიასავით მოვიქეცი. რაც აქ ილიას სხვებმა უჩიეს, მე ის ვუჩიე თავისთავს და „ერთ მოხვევს შევხდი. ვიჭირავე მისგან ცხენი... შევხვდი ცხენებზე და წამოვედი სტეფანწმინდიდან“ (ილია).

მივდივარ და თან მიმყვება, როგორც ეტლში, ისე აქაც, ილიას აჩრდილი, ილიას სული, ილიას ორეული.

აღბად ის მთები იქ რომ ამართულან ყვარელის მთებია, რომელსაც ილიამ ლექსი უძღვნა.

მარტო ყოფნა მომინდა, რომ განმეცადა ილიას განცდები და თანავაზერ მოხვევს ვუთხარი—დამო-რებოდა, წინ წასულიყო, მცხეთის ახლოს დავეწვეოდა.

— ფრთხილ იყავ, აქივე მასარია ყაჩაღ არჩ!—გამა-ფრთხილა მოხვევმ და ცხენი მოწყვიტა ჩემგან.

— ნუ გეშინია, ჩემო მოხვევე, ლევარსი რობროხა-ძეს ყაჩაღების არ ეშინია, — ჩავილაპარაკე ჩემთვის და გავიფიქრე:—ლევარსი სულელი არ არის, სწორედ იმი-ტომ გავიშვი წინ, რომ „წინა კაცი უკანა კაცის ხე-ლია“.

დავჩი მარტო და გადავეშვი ილიას განცდებში.

აქ წყდებდა ლევარსის ნაწერი, მაგრამ აქ არ თავ-დება მისი მგზავრობის თავდასასვალი.

გზა კლდეებში შევიდა.

— აღბად აქ ჰქონდა საუბარი მოხვევსა და ილიას, აღბად აქ უთხრა მოხვევმ ილიას:

— „ჩვენი თავი ჩვენვე უნდა გვეყუდოდეს“—ო; და მოხვევის ეს სიტყვები ლევარსიმ ისე ხმამაღლა წა-მოიძახა, რომ, გეგონებოდათ—ვიღაცას ვაღმა მითხე უძახის ამ სიტყვებზე.



— შენი თავი ვისაც უნდა მას ეყუდოდეს“, ხე-ლო სხვა, რაც გაბაღია, ყველაფერი ჩვენ გვეყუდონის! — შესძახა ერთმა და უცბად თითქოს მიწიდან ამოხ-ტენო, ლევარსის წინ სამი შეიარაღებული ყაჩაღი იმა-რთა.

მეორე დღეს ჩამოიარა ლევარსის ნაცნობმა შოფე-რმა და მცხეთის მახლობლად დაეწია ვიღაც ტიტველ კაცს, რომელსაც მხოლოდ ტრუსიკები ეცვა.

— ლევარსი, ეს თქვენ ბრძანდებით! როგორ გაგ-ქურდეს! — ავტოს გაჩერებამდე შეეკითხა შოფერი ლევარსის.

ლევარსიმ თავი გაიმხნევა, ღონე მოიკრიფა, მხნე-გამომეტყველება მიიღო და შოფერს უთხრა:

— რისი გაქურდვა! ვინ გაბედავდა ჩემს გაქურდ-ვას? სპორტსმენობა დავიწყე; მერწმუნეთ—ჯანმრთე-ლობისთვის ასე სჯობია.



ტფილისში ლევარსი ავტოთი დაბრუნდა. ზმუკი.



ტრესტის გაშვება



1.

ვინ არ იცნობს ტრესტის გაშვებას, ჩვენებიანთ ნიკიფორეს! ბევრი საქმე გააკეთა— თუმც ვერ ასცდა ქვეყნის ჭირებს. ამბობენ, რომ მისი ტრესტი დიდ ოჯახურ სალონს შავდა— უამრავი ნათესავი

მიღებული ტრესტში ჰყავდა:

- ბიძაშვილი,
- თავის შვილი
- ქვისლი, დები,
- ნათლულები:
- ცაცა,
- ფაცა,
- კატო,
- ნატო,
- ცუცა,
- ლუცა,
- ნინა,
- ზინა,
- სავლე,
- პავლე,
- გერასიმე

და მრავალი ცალკე ვინმე.

2.

ტრესტს არ რჩება ერთი გროშიც! კოლექტიურ ერთგულებით მუშობენ სალაროში ნიკიფორე თავის დებით. საქონელი გაუწყალდათ, მიდიოდა საქმე წაღმა,

და სანაცვლოდ მთელი შტაბი საუცხოვოდ მოიკაშმა:

- ბიძაშვილი,
- გამგის შვილი,
- ქვისლი, დები,
- ნათლულები:

- ცაცა,
- ფაცა,
- კატო,
- ნატო,

- ნუცა,
- ლუცა,
- ნინა,
- ზინა,

- სავლე,
- პავლე,
- გერასიმე,
- და მრავალი კიდევ ვინმე.

3.

ერთხელ თურმე ინსპექციამ ტრესტის ნახვა განიზრახა და არც ერთი იმ შტატადან თავის ადგილს ვერა ნახა. არ გასულა ერთი კვირა— მოხდა ყველას შემცირება და დამირჩენ შტატ გარეშე მისხურების მთელი კრება:

- თვითონ გამგეც,
- ბიძაშვილი,
- გამგის შვილი,
- ქვისლი, დები,
- ნათლულები:

- ცაცა,
- ფაცა,
- კატო,
- ნატო,

- ნუცა,
- ლუცა,
- ნინა,
- ზინა,

- სავლე,
- პავლე,
- გერასიმე,
- და მრავალი კიდევ ვინმე.

მარიჯან

ლევარსის პასუხი ზმუპს

რაღა დროს ჩემი სტვირია, როცა სიბერემ მიწია. მაგრამ რომ არა მასვენებ ვილაც ხარ, ჩემო ბიძია.

ხენა - თესვა, მარგელა სიმინდის, ძებნა გაბნეულ ხარისა,— და შავ მიწაზე მუდამ ჟამს ცემა თოხის და ბარისა,—

ადვილი საქმე როდია, ჩემო ბიძავ თუ ძამიავ! ტფილისის ქალაქს მცხოვრებო და თეთრი პურის ჭამიავ.

დაახ, მიყვარდა ლენის სმა, დღეობა, ცხენის ქენება, და მაშინდელი ყანწები, შენ ქვეყრად მოგეჩვენება.

ჩვენს სოფელს ახსოვს ლევარსის ყიყინა შენძახებო, უნახავს მისგან მოკლული კურდღელი, შველი, ტახები.

იყო შემთხვევაც, როდესაც დათვებზე მინადირია; მოწმედ მყავს ხალხი ამდენი, სიცრუე რაზე მჭირია.

ყურები დამყრუებია, დათვის ბრდღენითა და ბლაგი-ლით ზმუკო, ალბად შენ გაშინებს საბრალო ტურის კნავილი.

აბა აიღე საყვირი გახდი დამკვრელი სტვირისა და მოიგონე ამბავი „ლომის, კურდღლის და ვირისა“.

მინდა ვთქვა; თვით არ იციან, უფალო, რასა შერებინა. მაგრამ იცოდეთ—ძველ ლომსა ამაოდ ეჯობებინა.

წამოდი, დღესაც გიჩვენებ ნადირებს ხმლებზე ანაგებს (აგერ ტყეები, აგერ მე) შენა და შენს ამბანაგებს —

გიწვევ საერთო ბრძოლაში თუ დამანება ხველაში და ვინც ამ ომში დამარცხდეს ის შეარცხვინოს ყველაში.

საილო ლოდანი *)

ლევარსის ფსევდონიმია. როგორც თვითონ ამბობდა, მას ხალხი ზედმეტ სახელად სპილო ლოდანს ეძახდა. ეს ლექსი ეკუთვნის მწერალ ქალს საზო. მგვილაძეს.

ზოგ მწერალს

აი ამ წუთში მე ავიღე ერთ-ერთი წიგნი, ვკითხულობ ერთ გვერდს, გადავშალე, ვკითხულობ კიდევ, ვეძებ აქ სიღრმეს, სილამაზეს, მაგრამ ამაოდ, თემა დამძიმდა... რომ ეს თემა მე ვეღარ ვზიდი, და ვკითხე ჩემს თავს: ვინ მოიგო ნეტავ ამ წიგნით? ამ გამოცემით სარგებლობა რომელმა ნახა?.. მკითხველმა? არა! არაფერი წიგნმა არ მისცა, გამომცემლობამ? აქაც არა. წიგნი დამყავდა და სახელმწიფომც უშედეგოდ დაკარგა თანხა.

საზო. მგვილაძე.

„გ ე გ ე ა“ შესრულებულია“

ვინც ცრუა და ტრახანია,
მხოლოდ სიტყვით დალაქლაქობს,
ამისთანებს მე ვერ ვაქებ,
ვისაც უნდა იმან აქოს.
ს. ზურბიელიძე

სოლომონის
ეს თქმულება
შეეხება
ჩვენში მრავალს:
ავტომობილ—
ებლ—
ცხენ
ჯორით,
თუ ქვეითად ქვეყნად მაგალს
შეეხება ცნობილ ყბედებს,
განდილებით დანაფეთებს,
ქინცა ფლანგავს და იპარავს;
მეტს არაფერს არ აკეთებს!
არა, როგორ არ აკეთებს
თავისათვის მუდამ ცდილობს,
ყველაფერი სახლში შიამქს
თუ შეხედება რამ საკბილო!
გაბლინძული, წარბ-შეკრული,
ფახი-ფუხობს მედიდური,
თავს ჭკვიანად მოგაჩვენებს
ეს ტრახანა, ეს ბითური!
საკითხებს „სწყვეტს“ გეგმიანად
სხივსავით კი არ ართულებს,
სათანადო დავალებას
საუცხოვოდ შეასრულებს:
ჩასვენებს დიდ „პროთფელში“
ისე—არც ვი წადკითხავს,
და საბჭოთა მშენებლობა
ამნაირად წინ-წინ მიჰყავს
სიტყვებს სთესავს პურის ნაცე-
ლად,
თბილ ლოგინში ჰკრეფავს ბამბას,
მუადღემდე იზმორება—
ცოლს უამბობს ზღარულ ამბავს:
განონს, ან და გაფრთხილებს
ის ჩალადაც აღარ აგდებს,
ღრმა ძილში და ტკბილ სიზმარ-
ში
სიძინდა და პურს ამზადებს!
ხედავს სიზმრად დიდრონ გორებს
სიძინდ-ბამბის, პურის თესლის,
„გეგმა შესრულებულია“
სხვა რა ნახოს უყეთესი!
ხედავს კიდევ მშრომელებსა
წერა-კითხვის მცოდნეს ყველას,
განათლების ჩირაღდანი
ყველგან ბრწყინავს, ყველგან
ელავს:

ჩემი ანდერკი

თუ ჩემს მჭროლავ ეტლს
შუა ვზახე გაღუტყდეს ღერძი,
თუ ბედგანწირულს
მძაფრ ჭიდილში სიკვდილმა
მძლიოს,—
გადაიკითხეთ მეგობრებო,
ჩემი „ანდერკი“;
ქელეხისათვის სახელგამში
ვტოვებ მილიონს.
ნუ არბენინებთ კუბოსათვის
პაოლოს, ტიციანს,
მწერალთა საბჭომ არ იყიდოს
მკვდარსთვის იები;
კიტრის ნაფცქვენი მიშვენებდეს
შუბლს—წითელ ციანს,
ვარლამ რუხაძემ გამისტუმროს
ვალ—ნისიები.
ქმას—თურდოსპირელს
არ უფრინოთ სწრაფი დებემა;
არ დააყულოთ ჩემს წინ, როგორც
ათონის ბერი;
გახსოვდეთ:
მკვდარსაც აღმოხედება
ოპოლი კენესა,
თუ ჩემს გარშემო შემოკრება
ხალხი ცბიერი.
შეი მღვიმელი მიკიტნებთან
ასკუბეთ ცხენით,
კახურ ღვინოსთვის
კუპრიანი მიეცით ხელში,
(ვ. გუნის და შ. დადიანს
ეცით ნუგეში:
ასვით ნუნუა ან ჯიხვის რქით,
ან აზარფეშით!)
არ მინდა გლოვა,
არც წუწუნი
წამიღეთ ლხინით,
ჩხიკვაძის გვერდით მიმაბარეთ
მეც დიდებუში.
ჩვენმა მდივანმა, ბესო ულენტმა,
მისცეს მოწმობა
ჩემს ოჯახობას:
ჩემი ბინის შეუვალობის,
ფოტოგრაფილმა გამიწიოს
მკირე ხნით ქობა:
სასაფლაომდე მიმაცილოს
გუნდის გალობით.
ყრმა-ქაბუჯ ლექტორს —



ვოტეტიშვილს—
ეთხოვოს სიტყვა,
(ნუ შეათრთოლებთ რობაქიძის
და კუშულ ბაგეს).
თუ დამსწრეთაგან
ჩემს შესახებ იყოს შეკითხვა,
ირონიულად გადაჰხედოს, —
პასუხს ნუ აგებს.
მჯერა:
ჩემს ცხედარს დაიტირებს
გალაქტიონი,
გვარად ტაბიძე
და „ტიტულით“ „მეფე—მგონანი“;
მის შერხევაზე
ვანკალს იწყებს დიდი სიონი,
გლოვის ძაძებში გახეხევა
მზე—სხივოსანი.
ყველაზე მეტად შეწუხდება,
ვიცი „ნიანგი“,
მაგრამ ჩემსავით
სძულს იმასაც
მოზარე ჰანგი.
ცრემლებით თვალებს
ნუ აივსებთ (ჰმ) გენაცვალეთ,
გაშალეთ სუფრა,
არ დაიკლოთ თართი და დოში;
მოხსენით ტიქსა,
ყველა ობრის „ტოსტები“ სცალეთ
და გაიხსენეთ ჭუჩიშვილის
„ლხინი“ და „ხოშიც“.
ბ. ჭუჩიშვილი.

გაიღვიძებს, გააზმორებს
და ღრმად დარწმუნებულა—
რომ საბჭოთა მშენებლობის
„გეგმა შესრულებულია“.
ამნაირ „მოშაკობი“
მრავალია ჩვენში მგონი,

მათ შესახებ—ცხონებული
მართალია სოლომონი,—
როცა ამბობს დიდის სიბრძნით
„ვინც სიტყვით დალაქლაქობს,
ასეთ ხალხსა მე ვერ ვაქებ,
ვისაც უნდა იმან აქოს“.
შალვა ზსუნელი



ს ტ უ მ რ მ ბ ა



წარმოებაში შემოღებულ პრაქტიკის მიზანძვით გადავწყვიტეთ ოჯახშიც ერთმართველობის შემოღება და შევადგინე საწ. გეგმა.

ასეთი ნაბიჯი ჩემთვის პირდაპირ მისწრება იყო, რადგან მრავალრიცხოვანი ოჯახი მყავდა და უგვემობის გამო ყოველდღე უსიამოვნებასთან და უყვარათობასთან მქონდა საქმე.

ოჯახის აგრედირებული „პროფინბლანი“, ჯამაგირის ბალანსი და ერთმართველობა ორ დღეში უკვე ჩამოყალიბებული მქონდა. სოცშეჯიბრების, დამკერელობის და რეკიმ ეკონომიის შედგენა ჩემ თანაშემწეს (ე. ი. ცოლს) მივანდე მას შემდეგ, რაც ჩემი თავი ერთმართველობის სათავეში მოვიქციე.

ერთი სიტყვით ოჯახი სოციალისტურ ლიანდაგზე შევაცენე. ყველაფერი ტემპებში და გეგმებში ჩავაქსოვე და ყველაფერს თავისი თადარიგი მივეცი. ისიც კი ვამოვიანგარიშე, თუ რამდენი საინი უნდა გავგეტეხა ამა თუ იმ კვარტალში, რა დღეს რა უნდა მექამა, მეჩხუბა,

მ. მ. ნ. მ.

საქვაჭრობის ერთ-ერთ წერტის თანამშრომლების წმენდა შედარებით უმარცხოთ დამთავრდა: არავინ არ იქნა მოხსნილი რომელიმე კატეგორიით, — მხოლოდ ერთ ნოქარს და მოლარეს გამოეცხადათ საყვედური მომხმარებელთაგან და მოაპყრობისათვის.

წმენდის ასე მშვიდობიანად დამთავრება თანამშრომლების ერთმანეთ შორის მტკიცე თავმდებობის შედეგი იყო.

წმენდის დამთავრების შემდეგ აგრეთვე გაერთიანებული ფრონტით დილიდანვე იმის ფიქრში იყვნენ ვართული, თუ რა საქონელი ამოეღოთ დღეს ნიშანში, იმ ეახშინის ხარჯის გასანაღებლად, რომელიც მათ გასწიეს წუხელის კერძო სარდაფში.

თუმცა ამა თუ იმ საქონელზე ხელის მოთბობა მათთვის უკვე ჩვეულებრივ მოვლენად იყო გადაქცეული და ამაზე აქამდე დიდი ფიქრი არ სჭირდებოდათ, მაგრამ უკანასკნელ ხანებში ისე გაეშმაკდნ მომხმარებლებიც, რომ ძნელი საქმე შეიქნა მათთვის რაიმეს გამოპარება.

სავაჭროს კარების გაღებამდე დგებოდნ რიგში და უკვე ყველაფერს იგებდნ.—თუ რა იყო გასანაწილებელი, რამდენი და რა ღირებულების.

თუ მათ რაიმე გამორჩეზოდათ მეთვალყურეობიდან, მას ბრივადირები და კავალერისტები გამოამზეურებდნ.

ფიქრობდნ, მაგრამ წელანდელ ქეიფით გონება დაზანტებულენ იერაფერი ვერ მოეგონებიათ. საკითხი კი ჩქარა გადაწყვეტას მოითხოვდა, ვინაიდან გარეთ მდგომ რიგს მოუსვენრობა ემჩნეოდა და საჭირო იყო კარების გაღება.

ამ დროს სავაჭროს მოადგა მარწყვით სავსე კალათებით დატვირთული ურემი.

მის დანახვისთანავე ერთმა ნოქართვანმა, სისხარულით ტაში დაჭრა და შესძახა:

- ევრიკა! მოვიფიქრე!..
- აბ, რა, რა?—ერთხმად შეეკითხნ სხვები.
- აი, რა,—მხიარული ღიმილით მიუთითა მან

რა უნდა გავვეცეთა და ვისთვის რომელ თვეში და რომელ კვარტალში რა უნდა გვეყიდა.

როგორც ერთმართველობის სათავეში მყოფი და ახალი ღირებურობი, მეორე დღეს კისერ აღებით მივაბიჯებდი წარმოებისაკენ. ერთ კვირაში ჩემი ოჯახის საქმიანობა კარგად მიდიოდა, მეზობლებისათვის მავალითის მაჩვენებელი ვხდებოდი.

მაგრამ სიღერისა და სიმამრის სტუმრობამ ყველაფერი ამირია. პირველ კვარტალის ორი თვის მიღწევებს ვაჯამებდი, რომ შემოთხსენებულმა მოხუცებულებმა, რომლებიც თითქმის ამ ქვეყანას აღარ ეკუთვნიათ და უპასპორტოთ განაგრძობენ ცხოვრებას, მომიკაკუნეს ჩემ თოთხმეტ მეტრიან ოთახის კარებზე.

რალა ბერი გავაგრძელო,—მათმა სტუმრობამ ვასტანა პირველ კვარტალის უკანასკნელ გადამწყვეტ მეორე დეკადამდე. ჩემი საწფისგეგმა სრულიად გადასაკეთებლად განიხილა ავანსად გამოტყენილმა ასმა მანეთმა. გავალე ღუმელის კარები, სადაც პირველი კვარტალის შესამე დეკადის უკანასკნელი კვირის დღისა და საათის უკანასკნელი ორი დერი შემა იწოდა და ჩემი სისხლითა და ოფლით შედგენილი გეგმა ცეცხლის ალში გაეხვიე. ს. ძნელ-აღლი.

მარწყვით დატვირთულ ჯრემზე, რომელსაც ხარბად შესცქეროდნ რიგში მდგომი მომხმარებლების თვალები.

— მერე, რანაირათ, როგორ, როდესაც უკვე ყველა ხელაღს?

— ამას ეხლა ნუ მეკითხავთ, ეს შემდეგ იყოს. საქმე მხოლოდ მე მომანდეთ და თქვენ არ ჩაერთოთ შიგ. რომ არ დასთანხმებოდნ, მეტი რალი გზა ჰქონდათ, როცა თვითონ ვერაფერი მოეფიქრათ.

გააღეს კარები და შეუღდენ ჩვეულებრივ მომხმარებლებზე საქონლის განაწილებას. აღნიშნულმა ნოქარმა გადმოიღო მარწყვიანი კალათები ურმიდან, შეაწყო დახლის შიგნით და მხოლოდ ერთი კალათი დადვა დაზგაზე.

ამ ზაფხულზე პირველად გამოჩენილ მარწყვიან კალათს ბუზებივით შემოეხვიენ მომხმარებლები, მაგრამ ჩქარა ისევ მოშორდნ მას.

— მარწყვი მიეცემა მხოლოდ უ. ე. ნ. მ. მომარებულებს—განაცხადა ნოქარმა.

თუმცა არავინ არ იცოდა, თუ რას ნიშნავდა ეს უ. ე. ნ. მ. მომარებული. მარა ნოქარისათვის არავის არ მიუცია შეკითხვა მის გასამარტებლად, რადგან ყველა დარწმუნებული იყო იმაში, რომ პასუხს ვერ ელირსებოდა.

როცა ვაჭრობა შეწყდა და მომხმარებლები წავიდ-წამოვიდნ, საქვაჭრობის წერტში წყნარად შევიდა იქვე გვერდზე კერძო მოვაჭრე, მიმოავლო თვალი იქაურობას, და შეამჩნია რა მარწყვით სავსე კალათი, მსწრაფლ გაემართა მისკენ.

ნოქარსა და მის შორის მოხდა უ. ე. ნ. მ. მოლაპარაკება და შეთანხმება, რის შემდეგ მარწყვიანმა კალათებმა გამოიცვალეს ადგილი.

როცა საქვაჭრობის დუქანში საქმიანობა შესწყდა, მის გვერდით იმავე დროს გაჩაღდა კერძო ვაჭრობა.

საქვაჭრობის მალაზიის გამგე და ნოქარები კი, მოლარითურთ, ისევ მხიარულად გაემართენ სარდაფში ვაჭრების მისართმევად.



დიღველი პირი

როცა ყელიდან
სუნთქვასთან ერთად
იპარებოდა
ქურდივით სული,
დღიურ სიცხადით
გულდათუთქულსა
მომკიდებოდა
თვალეზე რული.

გზა იყო შორი და მოხაწვენი.
ნანას მღეროდენ ვაგონის თვლები.
დამვიწყებოდა დადლილ-დაქანცულს;
დილა, ფანჯარა, ველები, მთები.
აღარ ესმოდა ყურებს ბაახი.
არც სადგურებზე დაკრული ზარი,
ვიჟექ კუთხეში ოთხად მოსრილი.
და უცნაური ვნახე სიზმარი:
ვნახე, რომ თურმე ჩვენი ქვეყანა
(ნახულს ცხადშიაც ვაშენებთ, ველით)
კასპიის ზღვიდან, ვიდრე შავანდე
დახერილიყო რკინის გზის ქსელით.
იქ ლენკორანი, აქეთ სვანეთი.
ნუხა, ყაზბეგი და დილიჯანი.
მუხრეშუმებშიც კი არხად იყო
ძვილი ურეში და დილიჯანი.
იყო ნავარდი შაერობლანთა,
და აღარავის აფრთხოვდა ფრენა
არ იყო კუთხე; ხად ორთქლმავლის
არ გასმოდა გუგუნო-ქმენა
და ვნახე, თითქო ერთ-ერთ ვაგონში
მეც ფანჯარასთან ვიჯექი რბილად.
გზა იყო უხვი, ხალისით ხავხე,

და ფანჯრის იქით ცვრიანი დილა.
სდევდენ ბოძები, ნაძვიან ბოძებს.
და მისცურავდენ დრუბლებში მთები.
არ იყო ფული, არ იყო ვალი
და „ოდელიას“ მღეროდენ თვლები.
არ სჩანდენ ავი კონდუქტორები,
და გვიწყებოდა ჩანჩალი ფეხით
და დიდმელ ვირის საჩუქრის ნაცვლად
„ფიატს“ ელოდა შვილისგან გლები.
ქროდენ ქუჩაში ავტობუსები
ნავთსადგურს გაგდა ტფილისში მტკვარი.
ელექტროს უშუქი ქონდა ხეფსურეთს
და ხსენებაც კი არ იყო კვარის.
პროფგამფლანგველნი „რემოტის“ იქით
არ ნატრულობდენ უფრო თბილ ადვილს,
და უკვე აღარ მიაპარებდა
ტრთა ანბანს ხასირცხო ადვილს.
და რევიზორი დაგემილივით
არ აწყვებოდა კუბედან კუბეს.
ქონდათ ქეფი „ურდულვლებ“ ვაგონში,
„კორპინიკიდან“ მღეროდენ კუბლებს.
ვნახე ყველა ეს... ადელდა სული...
გულმა ბრანისგან უმატა ცემა...
ვთქვი ადმფოტებთან:—იან გამოვლიჯა
ჩვენ ხელებიდან ამდენი თემა...
ვის რად უნდოდა მიმოსვლა ჩქარი,
(რომ ველარ ასწრებ ვერხების თვლას)
რომ ნაქურდალი ვაზიდან სწრაფად,
და გამფლანგველმა უშველოს თავსა?!
ან და ყოველ დღე სოფლიდან კარზე
მოგადგეს სიმე, ნათლია, ბიძა,



სიღვერ-სიმაში... მაგრამ უფროად
შეირუა მიწა და... გამედვიძა.
იყო ქრიალი და ხათვა-სუთქი.
არ ვიცი ცაში ვეკიდე რაზე.
წინა ვაგონზე როგორც ჯამბაზი
ჩვენი ვაგონი იდგა ყირაზე.
ხრამში ორთქლმავლს ფეხებ-აშვერილს
შოშოასავეთ დაელო პირი.
მოშორებით კი საურმე გზაზე
მიაქროლებდა ვილაცხ ვირი.
მიაქროლებდა ღირსებით ხავხე,
თან გადმოვძახა სიტყვები ძვირი:
—თუ თქვენზე ადრე არ ვიყო ქალაქს,
მე დიდომელი არ ვიყო ვირი...
სინეობაბო.

იუგოსლავი იუგოსლავი გდგომარეობაში

მორცხვად შევიდა პროვინციელი ჰუმო-
რისტი „ნიანგის“ რედაქციაში.
— იმედია ახლაც გედათვალეირებთ ამ
ჩემს მასალას!—მომართა მან მდივანს.
— ბაშუსტა! შენ იშვითად გეაწუხებ.
შეიძლება!—უთხრა „ნიანგის“ მდივანმა.
— განა შეწუხებთ სივლით, რომ...
— შენ პირადათ ჯვარი გწერიხ, მაგრამ
ზოგიერთი მასალის წაკითხვა ცეცხლია.
თავიდანვე ატყობ არ ვარგა, მაგრამ
ხალიან გრძელი წერილია და ფიქრობ: იქ-
ნებ ბოლომდე სადმე ხეირიან ადვილს წა-
ვაწყდეთ—და კითხულობ. წაკითხვებზე ბო-
ლომდე და უმიმდოთ ჩააქნებ ხელს.
შემდეგ მდივანმა დაიწყო წერილის კით-
ხვა:
— ამ თქვენი წერილის სათაურია: „წერი-
ლები გორიდან, არ გეგონოთ „შორიდან“
რად არის სიტყვა „შორიდან“ ფრჩხილებ-
ში?
— ეს იმიტომ, რომ მკითხველს არ აერი-
ოს, რადგან ამ სათაურით ლენინიც სწე-
რდა წერილებს შევიცარიიდან.
— ნუთუ ასე ძნელია ამის გარკვევა, რომ
მკითხველს აერიოს ლენინისა და თქვენი წი-
რილი?
— თანამშრომლებში სიცილი ატყდა.
— ამ მასალას დავბეჭდებო. კიდევ გა-
მოგზავნეთ, ნუ დაიზარებთ მასალების გა-
მოგზავნას.
— თუ წერა დაიზაროთ, გორული ატმე-
ბი გამოგზავნეთ!—ჩაილაპარაკა აღლარ-
აღლარსანა.
— ან საკონსერვო ქარხნიდან ხილის კონ-
სერვები.—უმატებს სეგვირ-ბენ-შეის.
— იქ მობრძანდით, და რამდენიც გნე-

ბავთ!—ამბობს პროვინციელი ჰუმორისტი
და ცბიერად იღიმება. (იცის, რომ გორში
გაკეთებული კონსერვების საქმელად კაცი
გორიდან რაც შეიძლება შორს უნდა წა-
ვიდეს).
აგერ სამკითხველოს წინ ახალგაზრდა
მასწავლებელი სოფლებში ჩამოვარდა და
„ნიანგს“ კითხულობს:
წერილები გორიდან (არ გეგონოთ
შორიდან“).
„მოქალაქე დარწმუნდა, რომ ფანჯრის
გატების საშუალებით, შინის გაქურდვა არ
ყოფილა სისხლის სამართლის დანაშაული
და წერილდება ქურდების გამოდგენებაც არ
ღირს.
— ჩვენ მილიციას გამოვლიცება სჭირია!
— თქვა ერთმა.
— თუ სისხლი არ დაიდგარა, რა სისხ-
ლის სამართლის დანაშაულია!—თავს იმა-
რთლებს მილიციელი.
მასწავლებელი კითხვას განაგრძობს:
„მილიციის ინსპექტორი ირ. ტატიშვილი
ამბობს: „წალეხული მცირე თანხისა და სის-
ხლის სამართლის მილიციის გამოძახება არ
ღირსო“.
— თუნდაც ღირდეს, ჩვენ რა შუაში
ვართ, რომ ქურდებად გამოგვიყვანეს!—
გაჰკვივს ქაცნა.
— გავიგებთ ვინც არის და დედას ვუტი-
რებთ.—იძუქებთან სხვები.
— ამას დასწერდა ხორციჭამიას მდგმურთ.
დამაცადოს, დამაცადოს!—ფიქრობს მილი-
ციის ინსპექტორი.
იქ მღგომი ავტორი კი ოფლში ვიწურე-
ბი.
სიმონ-ადა.

აქაც-იქაც

კულაკი ნიკო ავად გახდა.
— ველები მამათ...
— გამაგრდი! დიდ არს ძალი უფე-
ლისა, ყველაფერი მისგან გამოვალს.
მაინც მეშინია... ჯერ არც ერთ-
ხელ არ მომკვდარაურ და მეშინია,
რომ პირველად ველები...
— ნუ გეშინია, ყველა ჩვენები და
ყველაფერი იქ იქნება.
— საკრედიტო ანბანაგობაც იქ
ნება?
— იქნება!
— კოოპერატივები?
— იქნება.
— პროტექცია, ნათლიმამობა?
— იქნება.
— მაინც მეშინია.
— ნუ გეშინია, გუტუნები ყველა
ჩვენები იქ იქნებიან,
— მნათე იქნება?
— იქნება.
— ჩარჩი გაბრიელა?
— ისიც.
— ალექსი დიკონი?
— ისიც.
— აქციზი ბაგრატა?
— ბაგრატაც.
— თქვენი მეუფეობა?
— ცხალია მეც ვიქნები, ყველანი
ერთად ვიქნებით.
— უ-უ-უ-უ, რა ქეფი იქნება!
ავიკლებთ იქურობას...
ნიანგის

ს ა ქ უ ლ ა ს ი ს ვ ე ბ ი

